# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 25 მარტი 2004 №66 (2085) ფასი 50 თეთრი



## შტილიკე და ჟირესი

ეს ერთხელ უკვე იყო: 22 წლის წინ

## საქართველოს ნაკრების ფრანგი მწვრთნელი გერმანელებს ფედერაციის ნაკრებს გაუყვანს. თავისას მერე შეადგენს

მანამდე კი ის, რაც თბილისში ნახა:

## ასე აღარ თამაშობენ, ბურთი სწრაფად და წინ უნდა დაგორავდეს




ბაჩო კორძაიას ფოტო




რეალი — მონაკო 4:2. ფეხით ვერგატანილ პენალტს ფიგუმ თავი დაურთო

## მონაკო მადრიდიდან ოთხით წამოვიდა




REUTERS ლიცენზიით

ჩელსი — არსენალი. კლაუდიო რანიერი და არსენ ვენგერი ცალ-ცალი გოლით გაიყარნენ

# ჩემპიონთა ლიგა

## 1/4 ფინალი. პირველი მატჩები. გუშინ

**ჩელსი (ლონდონი, ინგლისი) 1:1 არსენალი (ლონდონი, ინგლისი)**
1:0 გუდიონსენი (53), 1:1 პირესი (59)
ჩელსი: ამბროზიო, გალასი, ტერი, დესაი, ბრიჯი, პარკერი (ჯ. კოული 72), მაკელელე, ლამპარდი, დაფი, მუტუ (კრესპო 72), გუდიონსენი (მელხიოტი 86)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
არსენალი: ლემანი, ლორენი, ტურე, კემპბელი, ე. კოული, ლიუნგბერგი (რეიესი 78), ვიეირა, ედუ, პირესი, ანრი, ბერხკამპი (ჟილბერტო სილვა 72)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: მაკელელე (65), დესაი (80, 83)
გაძევება: დესაი (83)
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
40 778 მაყურებელი

**რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 4:2 მონაკო (საფრანგეთი)**
0:1 სკილაჩი (43), 1:1 ელგერა (51), 2:1 ზიდანი (70), 3:1 ფიგუ (77), 4:1 რონალდო (81), 4:2 მორიენტესი (83)
*ფიგუმ ვერ გაიტანა პენალტი (77, მეკარე)*
რეალი: კასილიასი, სალგადო, ელგერა, მეხია, რაულ ბრავო (პავონი 28), ფიგუ, ბექემი, გუტი (ბორხა 77), ზიდანი, რაული, რონალდო (სოლარი 82)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
მონაკო: რომა, გივე (იბარა 83), როდრიგესი, სკილაჩი, ევრა (ელ ფაკირი 89), ე. სისე (პლასილი 67), ბერნარდი, ზიკოსი, როტენი, ჟიული, მორიენტესი
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
გაფრთხილება: ბერნარდი (41), სკილაჩი (76), ბექემი (90)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
70 000 მაყურებელი



რეალი — მონაკო. რონალდო დაბრუნდა და, რა თქმა უნდა, გაიტანა

### ინგლისი
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
უიმბლდონი 0:1 მილუოლი
მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ბორნმუთი 1:2 ბლეკპული
ტრანმერი 1:0 ბრისტოლი

### შოტლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩები
ჰიბერნიანი 3:3 მოზერუელი
ლივინგსტონი 2:3 დანდი იუნ.
მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩი
ისტ სტირლინგი 1:2 სტრანრარი

### გერმანია
სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
ჰოფენჰაიმი 0:1 აუგსბურგი

### ესპანეთი
სეგუნდადივიზიონი
გადადებული მატჩი
ალავესი 3:0 ხეტაფე

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩები
დელემონი 2:0 სიონი
ვოლენი 3:1 ვინტერთური
შო დე ფონი — ბადენი გადაიდო

### დანია
თასის მერვედფინალი
იოლსტიკე 4:5 *ოდენსე*
სილკებორგი 1:2 *ნიკიობინგი*
ესბიერგი 1:2 *ოლბორგი*
ფრემი 0:2 *ბრონდბიუ*
ნორდსიელანდი 2:4 *კოპენჰაგენი*
აკადემისკი 0:1 *ვიბორგი*
ჰელსინგიორი 1:3 *სკივე*

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა
გადადებული მატჩები
ოპავა 0:0 ტეპლიცე
პლზენი 2:1 ბლშანი
თასის მერვედფინალი
*ბანიკი* 1:0 იაბლონეცი

### სერბეთი
პრვა ლიგა
გადადებული მატჩი
სუტიესკა 0:0 ობილიჩი

### პოლონეთი
I ლიგა. გადადებული მატჩი
გურნიკი 0:0 ლეხი

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა
გადადებული მატჩი
უიპეშტი 4:1 დიორ ეტო

### ავსტრია
თასის მერვედფინალი
ჰარტბერგი 0:2 *აუსტრია*
კერნტენი — ზალცბურგი გადაიდო

### რუსეთი
თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები
*შინიკი* 3:0დ.დ.(1:0) ალანია (0:1)
*ტერეკი* 1:1 ყუბანი (3:0)
*ლოკომოტივი* 1:0 რუბინი (1:1)

### ხორვატია
თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები
*რიეკა* 2:0 კამენი (3:2)
*დინამო* 3:1 ოსიეკი (2:0)
*ვარტეკსი* 5:0 პულა (0:2)

### ბელგია
იუპილერლიგა
გადადებული მატჩი
ანტვერპენი 3:1 მუსკრონი

# ალენ ჟირესი გერმანელებს ფედერაციის ნაკრებს გაუყვანს

## ფრანგებს კი ქართველებთან ამხანაგობა შესთავაზა

*საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა ის 18 ფეხბურთელი გამოაცხადა, რომლებსაც თავის სადებიუტო მატჩში 30 მარტს გერმანელ ახალგაზრდებთან ათამაშებს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, საგერმანიო სია ფეხბურთის ფედერაციამ შეადგინა და ჟირესს გადასცა. მწვრთნელი ახალდანიშნულია და ყველა ფეხბურთელის შესაძლებლობებში გარკვეული არ არის, ამიტომაც დასჭირდა ჟირესს ფედერაციის დახმარება*



ფედერაცია-ჟირესის რჩეულთა შორის დებიუტანტი არავის ეთქმის, თუმც ისიცაა, რომ ახალაიამ, სირაძემ და მამალაძემ ეროვნულის მაისურა პირველად ახლახან, თებერვალში კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე მოირგეს. გამოძახებულ ლეგიონერთა შორის არ არიან ტრავმირებულები — ლევან კობიაშვილი, შოთა არველაძე და მალხაზ ასათიანი, ვინც, ამასთან, ბოლო ხანს პოზიციაშეცვლილი თამაშობდა. ამჯერად ნაკრებში სულ ოთხია საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე. ჟირესის სურვილია, რომ პირველსავე მატჩში ნახოს და გაიცნოს ნაკრების ლეგიონერები.

გუშინვე, საგერმანიო შემადგენლობის დასახელებას ალენ ჟირესმა პრესკონფერენცია მოაყოლა და თქვა:

— ეს სია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეადგინა და დამახვედრა. ამჯერად უდროობის გამო ნაკრების დაკომპლექტება ჩემი შეხედულებისამებრ არ მოხერხდა, თუმც ჩემებური სია უკვე მაქვს, აქ ყოფნისას ოთხ მატჩს დავესწარი და რამდენიმე ფეხბურთელმა მიიპყრო ჩემი ყურადღება ამ 18-კაციან შემადგენლობაში კი ალარაფერი შეიცვლება, სავიზო პრობლემების გამო ფეხბურთელებს ვერ დავიმატებთ.

– ფეხბურთელმა ნაკრებში რომ ითამაშოს, ის აუცილებლად თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში უნდა იყოს — ეს არის ჩემი ერთ-ერთი მოთხოვნა, რასაც ფეხბურთელი უნდა აკმაყოფილებდეს. შესაძლოა, იყოს გამონაკლისებიც, თუმც ასე ძალიან იშვიათად მოხდება. ამჯერად საგერმანიო შემადგენლობაში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, რომელიც გუნდის ძირითადში არ თამაშობს, თუმც ამის მიზეზი უკვე გითხარით — სია ფედერაციამ ადრე შეადგინა. თანაც მსურს, რომ გერმანიაში ყველა ლეგიონერი ვნახო და გავიცნო.

– მანჰაიმში ნაკრები 27 მარტს გაემგზავრება. 28 და 29 მარტს ორ-ორჯერ ვივარჯიშებთ, გუნდს ბოლომდე შევკრებთ და 30-ში ვითამაშებთ. თამაშს ჩვეულებრივი, 4-4-2 სისტემით დავიწყებთ, თუმც მატჩის მიმდინარეობისას გუნდი გადაეწყობა.

– გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩი ჩემთვის ლეგიონერთა, გუნდის ბირთვის გაცნობის თვალსაზრისითაა უმნიშვნელოვანესი. ამ შემთხვევაში მეტოქე ნაკლებსაყურადღებოა, მთავარი ჩემი გუნდია. ისე კი, რა თქმა უნდა, ოფიციალურ მატჩებში მეტოქეთა შესწავლა აუცილებელზე აუცილებელია. მაგალითად, 31 მარტს ხორვატიაში მივემგზავრები თურქეთის ნაკრების სანახავად. ევროპის ჩემპიონატზე დავაკვირდები საბერძნეთსა და დანიას, ნელ-ნელა სხვა მეტოქეებსაც ვნახავ და ინფორმაციას შევაგროვებ. ამჯერად კი მეტოქის შესწავლას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მომავალი მატჩებისთვის ნაკრებში 22-23 ფეხბურთელი იქნება გამოძახებული. ახლა 18 ფეხბურთელი საკმარისია.

– ყველა ქართველ ლეგიონერზე მაქვს ინფორმაცია, თუმც ამ ეტაპზე, მიზეზთა გამო, ყველას გამოძახება არ მოხერხდა. გერმანიასთან მატჩის მერე უკვე მე გამოვაცხადებ შემადგენლობას. ჯერჯერობით ფეხბურთელებს ვაკვირდები, მსურს, რაც შეიძლება მეტ მატჩს დავესწრო, ბევრი ფეხბურთელი ვნახო, რის საფუძველზეც სამომავლოდ მოვამზადებ ნაკრებს.

– საქართველოს ჩემპიონატის დონე დაბალია, საერთაშორისოს ჩამორჩენილი, თუმც რაც მესიამოვნა, არის ის, რომ ფეხბურთელები მონდომებულები არიან, მათ პერსპექტივაც აქვთ და სწავლაც სურთ. საქართველოს ჩემპიონატის მატჩები ძალიან ნელ ტემპში მიმდინარეობს. ასე აღარ თამაშობენ, ბურთი სწრაფად და წინ უნდა დაგორავდეს.

– საქართველოში არის სათამაშო მოედნების პრობლემაც. უსწორმასწორო საფარი ფეხბურთელებს ხელს უშლის. არადა, ნაკრებისთვის თუნდაც ერთი კარგი მოედანი აუცილებელია. ჯერჯერობით რაც ვნახე, არა უშავს „ლოკომოტივის" მოედანს, როგორც მითხრეს, მასზე უკეთესი „ისნის" საფარი ყოფილა. პარასკევს სწორედ ამ სტადიონზე მივდივარ „თბილისი" — „ვიტ ჯორჯიას" მატჩზე დასასწრებად.

– პრესასთან ურთიერთობაში გარკვეული დოზით გახსნილი ვარ და მსურს, ერთმანეთთან თბილი, საქმიანი დამოკიდებულება გვქონდეს. რაც შეეხება მიმდინარე ინფორმაციას ეროვნულ გუნდზე, ამას ფედერაციის პრესსამსახურიდან მიიღებთ.

– გამიხარდება, თუ თურქეთის ნაკრების მწვრთნელად ჟან ტიგანას დანიშნავენ. როცა პსჟ-ს მწვრთნელი ვიყავი, ტიგანა „მონაკოში" მუშაობდა. ურთიერთშეხვედრებისას კი მოგებული სულ ჩემი გუნდი რჩებოდა. ტიგანას თურქეთის ნაკრებში შესაძლო დანიშვნის ამბავი პრესიდან შევიტყვე და რამდენად მართალია, ვერ გეტყვით.

– ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩები აუცილებელია. საამისოდ უეფასგან გამოყოფილ ყველა დღეს მაქსიმალურად გამოვიყენებთ. ამჯერად ვმუშაობთ აპრილ-მაისისთვის მეტოქეთა მოსაძებნად. დღეს კი საფრანგეთს შევთავაზეთ ამხანაგური მატჩის ჩატარება და ძალიან კარგი იქნება, თუ ისინი დაგვთანხმდებიან. თუ ასე მოხდა, ჩვენი შეხვედრა ალბათ თებერვალში შედგება. იქამდე ფრანგებს ამხანაგურების გრაფიკი შედგენილი აქვთ.

– ვერ გეტყვით, შესარჩევ ჯგუფში გამარჯვებისთვის რამდენი ქულა დაგვჭირდება. თუ ბლოხინი ამბობს, რომ უკრაინისთვის საკმარისი იქნება 25 ქულა, მაშინ ჩვენთვის საკმარისი 26 ქულა იქნება.

**საქართველოს ნაკრები**

**მეკარეები:** *გიორგი ლომაია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი), ზურაბ მამალაძე (ლოკომოტივი, თბილისი);*

**მცველები:** *რევაზ ქემოკლიძე (თბილისი), ოთარ ხიზანეიშვილი (დინამო, მოსკოვი, რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), კახა კალაძე (მილანი, იტალია), ალექსანდრე ამისულაშვილი (დინამო, კიევი, უკრაინა);*

**ნახევარმცველები:** *გიორგი ნემსაძე, დავით კვირკველია (ორივე დინამო, თბილისი), ლევან ცქიტიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), დავით სირაძე (უნიონი, ბერლინი, გერმანია), ვიტალი დარასელია (ალანია, ვლადიკავკაზი, რუსეთი), გოჩა ჯამარაული (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა);*

**თავდამსხმელები:** *ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), რატი ალექსიძე (როსტოვი, რუსეთი), გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), მიხეილ აშვეთია (ლოკომოტივი, მოსკოვი, რუსეთი), ლადო ახალაია (დინამო, თბილისი).*

**კობა ინასარიძე**

საქართველოს ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც 30 მარტს გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებს დაუპირისპირდება. შემადგენლობაში რევოლუციური ცვლილებები არ არის, თუმცა თვალში საცემია, რომ ამჯერად ნაკრებში მხოლოდ სამი თბილისის დინამოელია გამოძახებული — გიორგი ნემსაძე, დავით კვირკველია და ლადო ახალაია. გუშინ ამათგან ორს შევეხმიანეთ...

**გიორგი ნემსაძე:** ნაკრებში გამოძახებამ ძალიან გამახარა. ამას გულწრფელად ვამბობ. ჩემთვის ქვეყნის პირველ გუნდში თამაში ყოველთვის მოვლენა იყო. შევეცდები, მწვრთნელის ნდობა გავამართლო. თუმცა ერთიცაა, მისთვის პირველი მატჩია და რაღაც სასწაულებს ნუ მოვთხოვთ. ჟირესს ვითარებაში გასარკვევად დრო სჭირდება.

**— როგორც ნაკრების კაპიტანს, მასთან ხომ არ გისაუბრია?**

— ნაკრების და საერთოდ ფეხბურთის შესახებ მასთან არ მილაპარაკია. ისე, ერთხელ შევხდით, გავიცანი და ამით შემოიფარგლა ჩვენი ურთიერთობა.

**— გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩზე რას იტყვი?**

— რაც უნდა იყოს, გერმანიაა და სერიოზული გამოცდა იქნება. უმეტესობა ხომ ბუნდესლიგის წამყვან კლუბებში თამაშობს. მათი ლიდერი შვაინსტაიგერი კი გერმანული ფეხბურთის იმედია.

**— ჟირესის ნაკრებში რა განწყობით მიდიხარ?**

— თითქოს ყველაფერს ნულიდან ვიწყებ და ახალწვეული ვიყო.



# სამიი?



**ლადო ახალაია:** რომ ვთქვა, ნაკრებში გამოძახებას არ ველოდი-მეთქი, მართალი არ ვიქნები, თუმცა ნდობა რომ დავიმსახურე, მიხარია.

**— მხოლოდ სამი დინამოელის გამოძახებას რით ახსნი?**

— მეც გავიგე, რომ „დინამოდან" მხოლოდ სამ ფეხბურთელზე შეჩერდა არჩევანი, მიზეზისა კი მე არაფერი ვიცი.

**— სანაკრებოდ მზად ხარ?**

— საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ. შეკრების შემდეგ ვგრძნობ, რომ ჯანზე მოვდივარ.

**— ხომ არ იცი, რომელ პოზიციაზე ითამაშებ? ამ ბოლო ხანს ხომ უნივერსალად ჩამოყალიბდი...**

— მე თავდასხმაში თამაში მირჩევნია, თუმცა სადაც უნდა ვითამაშო, შევეცდები, ნაკრებს სარგებელი მოვუტანო.

**— გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებზე რა იცი?**

— ბევრი არაფერი, თუმცა უეჭველია, ტიპურ გერმანულ ფეხბურთს ითამაშებენ და რთული მატჩი გამოვა. ვიცი ის, რომ გერმანელებს ჩინებული თაობა ეზრდებათ. ძალიან კარგი და სასარგებლო სპარინგი იქნება.

**დავით ერაძე**

# სევილიელი დალაქები
## ვის გაპარსავენ მანჰაიმში?



*„საქართველოს ნაკრები ვარსკვლავური გუნდია და მასთან დაპირისპირება ძალიან საინტერესო იქნება. რაც შეეხება გერმანიაში მოთამაშე ქართველებს, ალექსანდრე იაშვილმა, ლევან ცქიტიშვილმა და ლევან კობიაშვილმა ბუნდესლიგაში უკვე საუკეთესოდ წარმოაჩინეს თავი" — გერმანიის 21-წლამდელთა დამრიგებელ ული შტილიკეს ეს სიტყვები გუშინ გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვებგვერდზე გამოქვეყნდა*



ფეხბურთში კლასიკასა და ქრესთომატიას თუ აგემოვნებთ, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის სევილიური ნახევარფინალი ვინძლო გაკერპებულიც გქონდეთ — ამ ნაწარმოებში დასავლეთ გერმანიამ საფრანგეთს დამატებით დროში 1:3 ამოუქაჩა, პენალტებშიც იმარჯვა და...

იმ მატჩის ორი მონაწილე 30 მარტს მანჰაიმში, კარლ-ბენც შტადიონზე ერთხელაც დაუპირისპირდება ერთმანეთს — ალენ ჟირესი და ულრიხ შტილიკე — საქართველოს ეროვნულ და გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთა სარდლები.

სევილიაში ჟირესმა ლამაზი გოლი გაუტანა ტონი შუმახერს — 15-16 მეტრიდან ახლო კუთხეში, ძელს გარტყმული ბურთი შევარდა გერმანელთა კარში და 3:1. აქ მონტაჟი გავაკეთოთ და პენალტების სერიაზე გადავიდეთ, სადაც პირველი 11-მეტრიანი შტილიკემ გააცუდა — ულაზათოდ დაარტყა და ჟან-ლუკ ეტორიმ ადვილად მოიგერია ბურთი. გერმანელთა ულვაშა ლიბერო მინდორზე დაჯდა, ხელები წვივებზე შემოიწყო და ატირდა. მასთან ახალბედა პიერ ლიტბარსკი მივიდა და უფროსი თანაგუნდელის ცრემლიანი სახე მკერდზე მიიდო. მწველი კადრი იყო, კლასიკის ერთი, განცდიანი ეპიზოდი.

ახლა, 22 წლის შემდეგ კი მანჰაიმის ჯერია. გერმანიის ამ ქალაქში არავინ იტირებს ამ ამხანაგურ მატჩზე, მაგრამ იქ ჟირესის ქართული ნათლობაა, ჟირესი და შტილიკე ერთხელაც იპაექრებენ, მაგრამ აქ უფრო ჩვენი საკითხია განსაკუთრებული — ეროვნული გუნდი პირველ მატჩს ჩაატარებს ჟირესის ხელში.

მეტოქე გუნდის მთავარ მწვრთნელ შტილიკეს კი მანამდე შვეიცარიის ეროვნული ნაკრები, იქაური „ქსამაქსი" და მანჰაიმის „ვალდჰოფი" გაუწვრთნია, ხოლო გერმანიის საფეხბურთო კავშირის მწვრთნელთა შტაბში 1998 წლიდან მუშაობს.

ფეხბურთელის კარიერა შტილიკემ იმ ჯადოსნურ „გლადბახში" დაიწყო, სადაც რაინერ ბონჰოფი და ალან სიმონსენი ბრწყინავდნენ, თუმც გფრ-ის ნაკრების მაშინდელ მწვრთნელ ჰელმუტ შიონს შტილიკე დიდად არ მოსდიოდა თვალში, თუმც პირველად მან მიიწვია გუნდში. მაგრამ, როცა ბუნდესნაკრები იუპ დერვალმა ჩაიბარა, ლიბერობა შტილიკეს ანდო და 1980 წელს გერმანიამ ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ამასობაში „გლადბახს" გრანდობა მიუნხენის „ბაიერნმა" წაჰგლიჯა, ხოლო შტილიკე მადრიდის „რეალმა" იყიდა — იქ ულვაშა, შავტუხა და შემელოტებული გერმანელი ესპანეთის ჩემპიონობასა და უეფას თასს შესწვდა.

30 მარტის მანჰაიმი — კარლ-ბენცზე 35 000 ეტევა, თუმც სკამები მხოლოდ 17 000 კაცს დაიტევს და მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს ბოლო დროს დაწინაურებული გერმანული ტელეკომპანია DSF გადასცემს — ვისაც სატელიტურ ანტენაზე აქვს მიერთებული ტელევიზორი, ამ მატჩს საქართველოშიც უყურებს — ჟირესი და შტილიკე 22 წლის შემდეგ...

**დავით თავართქილაძე**





ალენ ჟირესი და ული შტილიკე ახალგაზრდობისას და მეტოქეობისას

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

### დანია

# მგზ სანდი გამოშალკევდა

**31 მარტს** დანიის ეროვნული გუნდი ხიხონში ესპანეთის ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრება. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს თანაჯგუფელი დანიის ნაკრების მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა საამმატჩოდ 18 ფეხბურთელი იხმო.

ვიკინგები პირინეის ნახევარკუნძულზე ფაქტობრივად საბრძოლო შემადგენლობით ჩავლენ, ერთადერთი გამონაკლისი შალკელი თავდამსხმელი ებე სანდია — ჩვენებური ლევან კობიაშვილის თანაგუნდელი ტრავმირებულია. მოკლედ, აი, დანიის ნაკრებიც:

**მეკარეები:** *თომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), სტეფან ანდერსენი (აკადემისკი);*

**მცველები:** *თომას ჰელვეგი (ინტერი, იტალია), რენე ჰენრიკსენი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), მარტინ ლაურსენი (მილანი, იტალია), ნიკლას იენსენი (დორტმუნდი, გერმანია), პერ კროლდრუპი (უდინეზე, იტალია), ბრაიან პრისკე (გენკი, ბელგია);*

**ნახევარმცველები:** *თომას გრავესენი (ევერტონი, ინგლისი), კლაუს იენსენი (ჩარლტონი, ინგლისი), დანიელ იენსენი (მურსია, ესპანეთი), თომას კალენბერგი (ბრონდბიუ), თომას როლ-ლარსენი (კოპენჰაგენი), იესპერ გრონკიაერი (ჩელსი, ინგლისი), მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია);*

**თავდამსხმელები:** *იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), პეტერ მადსენი (ბოხუმი, გერმანია), კენეტ პერესი (ალკმაარი, ჰოლანდია).*

### უკრაინა




31 მარტს უკრაინელებიც ითამაშებენ. ნაკრების მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა სკოპიეში მაკედონიელებთან სათამაშოდ უკვე შეარჩია ფეხბურთელები, გუნდშია ლიდერი ანდრეი შევჩენკოც. უკრაინის ნაკრების სრული შემადგენლობა კი ასეთია:

**მეკარეები:** *ალექსანდრ შოვკოვსკი, ვიტალი რევა (ორივე დინამო);*

**მცველები:** *ანდრეი რუსოლი, სერგეი მატიუხინი, ვლადიმირ იეზერსკი (სამივე დნიპრო), ბოგდან შერშუნი (ცსკა, რუსეთი), დმიტრი პარფიონოვი (სპარტაკი, რუსეთი), სერგეი სიმონენკო (ჩერნომორეცი), ვიაჩესლავ ჩეჩერი (მეტალურგი, დონეცკი);*

**ნახევარმცველები:** *ოლეგ გუსევი, ანდრეი გუსინი (ორივე დინამო), ანატოლი ტიმოშჩუკი, ადრიან პუკანიჩი (ორივე შახტარი), რუსლან როტანი, ალექსანდრ რიკუნი, სერგეი ნაზარენკო (სამივე დნიპრო), სერგეი მიზინი (კარპატი), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი, რუსეთი);*

**თავდამსხმელები:** *ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), სერგეი რებროვი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ოლეგ იაშჩუკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალექსანდრ კოსირინი (ჩერნომორეცი).*

*რევაზ არველაძე, თბილისის „დინამოს“, „ლოკომოტივისა“ და ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ალბათ ჩინოვნიკური საქმიანობით დაკავდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში. თუმც, როგორც არველაძემ გვითხრა, სამწვრთნელო საქმის შესწავლის გაგრძელებასაც აპირებს, ხოლო საფეხბურთო აგენტის ლიცენზია შეჩერებული აქვს. როგორც უნდა იყოს, ძმათაგან უფროსი არველაძე ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში კარგად გათვითცნობიერებული გახლავთ და ეს ინტერვიუც ამიტომ ჩამოვართვით*



# $ 500 000 - 1 000 000 გააჩნია, ვინ იხდის

— როგორ ფიქრობთ, მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე საინტერესო სიახლე რა არის?

— ამ ჩემპიონატში უდავოდ აღსანიშნავია „თბილისი“ — მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ კლუბის ინფრასტრუქტურაც — „თბილისი“ მართლაც სასიამოვნო სიახლეა მიმდინარე სეზონში.

— ისეთ ფეხბურთელებს ხედავთ „თბილისში“, ვისაც სანაკრებო დონეზე ძალუძს თამაში?

— ასეთი რევაზ ქემოკლიძეა. ეროვნულ ნაკრებში ნათამაშევი აქვს „თბილისის“ მეკარე სოსო გრიშიკაშვილსაც, მისი ნაკრებში დაბრუნების პერსპექტივას ჩემპიონატის დინამიკა გვიჩვენებს.

— ზოგს მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე „დინამოს“ შემდეგ პოტენციურად ყველაზე კარგი გუნდი „ლოკომოტივია“ — ეთანხმებით ასეთ მოსაზრებას?

— ეჭვი მეპარება, რომ ყველაფერი მართლაც ასე იყოს.

— მაშ, რომელი გუნდი მიგაჩნიათ ისეთად, რომელსაც ყველაზე დიდი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია „დინამოსთვის“?

— „ვიტ ჯორჯია“ ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. ამ გუნდს ყოველთვის სულ რაღაც ცოტა აკლია, ჩემპიონობის რეალური კანდიდატი რომ იყოს, მაგრამ მოთამაშეთა საკუთარი კადრების შევსების საკითხი „ვიტ ჯორჯიას“ კარგად აქვს აწყობილი, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია.

— „დინამოს“ ნახევარი სეზონი წვრთნიდით და როგორც ამ გუნდის ყოფილი მწვრთნელი, რას იტყოდით ახლანდელ „დინამოზე“ — მოგწონთ მისი თამაში და სტილი?

— ფეხბურთი მე ჩემებურად მესმის და სათამაშო სტილზე რომ არ ვილაპარაკო, ისედაც ნათელია, რომ „დინამოს“ აქვს მაქსიმალური შედეგი საქართველოში, მაგრამ ევროტურნირებზე ამ „დინამოს“ შედეგისთვის ჯერ არ მიუღწევია — ეს საკითხი კლუბის მეპატრონის გადასაწყვეტია. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, „დინამო“ მას ახლა უპრობლემოდ მოიგებს.

— მიგაჩნიათ, რომ ამ ჩემპიონატის ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი დინამოელი სანდრო იაშვილია?

— ჩვენს ჩემპიონატში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა, რომლებიც სერიოზულად დაწინაურდნენ, მაგრამ მათი შემდგომი წინსვლისთვის საქართველოს ჩემპიონატში თამაში საკმარისი არაა. იაშვილის გარდა, ძალიან საინტერესო ფეხბურთელია ლადო ახალაია, გამოვარჩევდი აგრეთვე „თბილისის“ ნახევარმცველ გიორგი ჭელიძეს, ვიტჯორჯიელ მცველ დავით იმედაშვილსა და „ლოკომოტივის“ მეკარე ზურაბ მამალაძეს.

— დაახლოებით როგორ ფასობს საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი სატრანსფეროდ?

— ეს დამოკიდებულია იმაზეც, რომელი გუნდი ყიდულობს ასეთ ფეხბურთელს. თუ მყიდველი კიევის „დინამო“, „შახტარი“ ან მოსკოვის „ლოკომოტივია“, მაშინ ასეთი ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულება ნახევრიდან ერთ მილიონ დოლარამდეა — ჩამოთვლილი კლუბები ფეხბურთელებს ევროპული ფასებით ყიდულობენ.

— ლოკომოტიველ მალხაზ ასათიანზეც ვთქვათ — თუ ის კვლავაც მცველად გააგრძელებს თამაშს, შეძლებს რუსეთიდან კარგ ევროპულ გუნდში გადასვლას?

— როგორც აგენტს, ასათიანთან ხელშეკრულება არ მქონია. ისე კი, ევროპაში სატრანსფეროდ „ლოკომოტივის“ მცველობა მას ხელს არ შეუშლის.

— საქართველოში ჩამოსულ ალენ ჟირესს რამდენიმე ხნით მეგზურობდით — რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ეროვნული ნაკრების მწვრთნელზე?

— აღვნიშნავდი იმას, რომ ჟირესი ნებისმიერ ინფორმაციას თუ საკითხს ძალიან დეტალურად უდგება.

**დავით თავართქილაძე**

*მოსკოვური „ტორპედო-მეტალურგის“ ქართველი ნახევარმცველი ალექსანდრე რეხვიაშვილი ისევ ლატვიისკენ იყურება და რიგის „სკონტოში“ დაბრუნებას აპირებს. რუსეთ-ლატვიის გზის კიდევ ერთ ჩვენებურს ეიმედება — ყაზანის „რუბინის“ ყოფილ თავდამსხმელ დავით ჩალაძეს, რომელიც დღემდე ამაოდ ელოდა რუსულ ვარიანტს.*

*რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაიხურა და ჩალაძესაც ეს შანსი ხელიდან გამოეცალა. მერე ბევრი ლაპარაკი იყო, რუბინელის გადაბირებას თბილისის „ლოკომოტივი“ ეშურებაო, მაგრამ... აი, რა გვითხრა დავით ჩალაძემ...*



# ჩალაძეს რუსეთი და საქართველო დაუკეტეს

## რიგში მორიგი რიგაა

— რუსეთი უკვე გამოირიცხა. ახლა საქართველოში დარჩენაზე თუ ვიფიქრებ. ვნახოთ, ორიოდ დღეში ყველაფერს გავარკვევ.

— „ლოკომოტივთან“ მოლაპარაკება ჩაიშალა?

— რა ვიცი, ამბობენ, შარშანდელი წესები შეიცვალა და ლეგიონერს საქართველოში ნებისმიერ დროს დაბრუნება აღარ შეუძლიაო.

— აბა, რას აპირებ?

— ეს ვარიანტიც თუ გამოირიცხა, მაშინ ლატვიაში წავალ და „სკონტოში“ ვითამაშებ.

— ლატვიელებს უკვე ელაპარაკე?

— არა, ჯერ აქაური ამბების გარკვევას ველოდები.

დათოსთან საუბრის მერე პროფლიგის პრესცენტრის ხელმძღვანელ *პაატა ბურჯალიანს* დავუკავშირდით და შეცვლილი წესის განმარტება ვთხოვეთ: „საქართველოში ტრანსფერები 15 მარტს დაიხურა და ეს უეფასაც ვაცნობეთ. ასე რომ, შეღავათი მხოლოდ ის იქნება, თუ ფეხბურთელი, სულ მცირე, ერთი წელი დარჩება საქართველოში, მაშინ მას ნებისმიერ დროს შეეძლება გუნდში ჩარიცხვა. უფრო მცირეხნიანი კონტრაქტი კი გამორიცხულია“.

ამგვარად, თუ ჩალაძეს „ლოკომოტივში“ თამაში სურს, მაშინ, სულ მცირე, ერთწლიან თანამშრომლობაზე უნდა შეუთანხმდეს, თუ არა, ერთადერთი შანსი რიგის „სკონტოა“.

**ქახა შალამბერიძე**

# ხვადაგიანი ყველგან მზადაა

## მარცხნივ, მარჯვნივ, შუაში

*მეთექვსმეტე ტურში ხაშურის „ივერიასთან“ დამარცხების მერე „ამერი“ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა — მარცხენა მცველი, კაპიტანი გიორგი ჩიხრაძე დაშავებული იყო და ხაშურში მისი შემცვლელი გიორგი ელბაქიძეც გააძევეს. ამგვარმა ვითარებამ თამაზ კოსტავა იძულებული გახადა, „ცხინვალთან“ მატჩში გუნდის ახალწვეული ვახტანგ ხვადაგიანი გაეყვანა. იძულებული იმიტომ, რომ ხვადაგიანი ორი კვირის უვარჯიშებელი და ფორმიდან ამოვარდნილი იყო. მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა, ვახტანგმა უშეცდომოდ ითამაშა და მისი ფლანგიდან „ამერის“ კარს საფრთხე ერთხელაც არ დამუქრებია. გამოცდილება კი მას დიდი აქვს — საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ქვეყნის სამგზის ჩემპიონია*



— ვახტანგ, ცოტა შორიდან დავიწყოთ, ბერძნულ „იანინაში“ რა პრობლემები შეგექმნა?

— გუნდი გაკოტრების პირას მივიდა. თვენახევარი მპირდებოდნენ, საშველი დაგვადგებაო, მერე კი დაპირებასაც აღარ მაძლევდნენ და იქაურობას გავეცალე.

— საქართველოში დაბრუნების მერე „ამერის“ გარდა რა ვარიანტები გქონდა?

— „ლოკომოტივიდან“ შემეხმიანენ, თავიანთი პირობები მითხრეს, რომ ავწონ-დავწონე, „ამერში“ მოსვლა ვამჯობინე.

— მიზეზი?

— ერთი მხრივ, უკეთესი პირობები შემომთავაზეს. გარდა ამისა, „ამერზე“ და მის ამბიციებზე მსმენოდა და თამაზ კოსტავასთან საუბრის მერე გადაწყვეტილებაც მივიღე.

— „ამერში“ შენი ძველი თანაგუნდელი დავით ასლანაძე თამაშობს, მისთვის რჩევა ხომ არ გკითხავს?

— არა, კოსტავასთან და კლუბის პრეზიდენტთან საუბარი საკმარისი იყო. ისე, ასლანაძის გარდა ვერემჩუკთან, რუსიასთან, დავითნიძესთან, ჩიხრაძესთან, კაიდარაშვილთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს.

— „ცხინვალთან“ პირველად ნახე „ამერის“ თამაში. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა?

— კარგ გუნდში გადმოვსულვარ, თამაში შეგვიძლია.

— უმაღლეს ლიგაში გადახვალთ?

— არ ვიტყვი, რომ ეს ძალიან იოლი იქნება, მაგრამ თუ შევძელით, სენსაციასაც ვერ დავარქმევ.

— შენი პირველი ამერული თამაშით კმაყოფილი დარჩი?

— ორი კვირის უვარჯიშებელი ვიყავი და ამის კვალობაზე, მგონი, ნორმალურად ვითამაშე.

— ცენტრალური მცველი ხარ, პირველ ამერულ მატჩში კი მარცხენა მცველად ითამაშე...

— დაცვაში ნებისმიერ ადგილას შემიძლია თამაში. უბრალოდ, ქუთაისის „ტორპედოში“ ცენტრალურ მცველად ვთამაშობდი და ამ ადგილს უფრო მეტად შევეჩვიე. თუ საჭირო შეიქნება, პოზიციას შევიცვლი.

**www. fcameri.ge-დან**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არის ტოტი არისტოკრატი?

## ჩელსიმ რომასთვის 50 მილიონი გადათვალა

*„რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი რაღაც ძალიან სერიოზულად დაუკავშირეს „ჩელსის“. იტალიაში ახლა უკვე ბევრს ეეჭვება, რომ რომაელთა წლევანდელი ჩინებული თამაშის შემოქმედი ამ ზაფხულს მშვიდად და უტრანსფეროდ გაატარებს*



და აი, ყველაფერს აგენტის ნათქვამიც დაერთო. აგენტმა განაცხადა, „სტემფორდ ბრიჯზე“ „რომაში“ წარსადგენად სერიოზული წინადადება მზადებაო.

„შევიტყვე, რომ ამ ზაფხულს ტოტის „ჩელსი“ იყიდის“ — თქვა ვინჩენცო მორაბიტომ, რომელიც სხვათა შორის, იმავ „ჩელსის“ მწვრთნელის, კლაუდიო რანიერის და მიკაელ ფორსელის აგენტიც გახლავთ.

„საერთოდ, ლონდონის ამ კლუბთან დაკავშირებით, ჯერ დარწმუნებით ვერავინ ვერაფერს მოგახსენებთ — განმარტა მორაბიტომ — ვიცი, რომ რანიერის მიკაელისა სწამს (მიკაელი კი „ბირმინგემშია“ გასესხებული), მაგრამ იმას, რომ ფორსელი მომავალ სეზონში „ჩელსიში“ იქნება, ვერავის დავპირდები. აქ შანსები 50-50-ზეა“.

აღსანიშნავია, რომ „რომა“ ყოველთვის ხაზგასმით აცხადებდა, ტოტის გაყიდვა გუნებაშიც არ გვაქვსო. ტოტი, მოგეხსენებათ, ამ კლუბის ბავშვთა სკოლის აღზრდილია, მაგრამ „არისტოკრატებმა“ ამ აღზრდის სანაცვლოდ შეიძლება 50 მილიონ გირვანქამდე გადაიხადონ და ეს დედაქალაქელებს ძალიან ბევრს პრობლემას მოუგვარებდა.

27 წლის ფრანჩესკო ტოტიზე, რომელიც ამ ზაფხულს ევრო 2004-ის ერთ-ერთ გმირად წინასწარ არის გამოცხადებული, ამბობენ, რომ იგი „რეალსაც“ სურს, თუ სურდა.

**ბაპუნა ძიძია**

# ქალბატონს იაფი ბიჭები უნდა

## ზლატანი ზაფხულში იუვეს კარს მიადგება



**თუ დავიდ ტრეზეგეს** გაყიდიან, ტურინის „იუვენტუსის“ ხელმძღვანელები, სავარაუდოდ, ზლატან იბრაჰიმოვიჩს და ალბერტო ჯილარდინოს შეიძენენ.

საქმე ის არის, რომ კარგა ხანია, დადის ხმები ფრანგი ტრეზეგეს „ბარსელონაში“ გადასვლასთან დაკავშირებით და თუ ამ ჭორს საფუძველი აქვს (წესით უნდა ჰქონდეს), მაშინ, ბუნებრივია, ტურინელებს ფორვარდის შემცვლელი დასჭირდებათ. ჭორი კი კონკრეტულად ის არის, რომ „იუვეს“ და „ბარსას“ ამ საკითხთან დაკავშირებით ხელი-ხელს კარგა ხანია დარტყმული აქვთ. ამბობენ, რომ მხარეები 27 მილიონ ევროზე არიან მორიგებულნი.

ამ თანხის მიღების შემთხვევაში „იუვენტუსი“ იაფი და ახალგაზრდა ფორვარდების შეძენას შეუდგება. კერძოდ, იბრაჰიმოვიჩსა და ჯილარდინოზე დიდი ხანია ლაპარაკობენ.

შვედი იბრაჰიმოვიჩი სეზონის ბოლოს თავად ლამობს „აიაქსიდან“ წასვლას. მისი ფასი სავარაუდოდ, 13 მილიონი ევროა.

რაც შეეხება ჯილარდინოს, იგი მიმდინარე სეზონში „პარმაში“ ჩინებულად თამაშობს, და შეიძლება ითქვას, რომ „ინტერში“ გაყიდული ადრიანო სრულფასოვნად შეცვალა. ერთი სიტყვით, ტურინში (სადაც, სულ ბოლო ხმების თანახმად, მარკო დი ვაიოს კონტრაქტის ვადა 2009 წლამდე უგრძელებენ) ჯირალდინო სასურველი შენაძენი იქნება.

**ბაპუნა ძიძია**

*გარდა იმისა, რომ კარდიფში, საქართველოს ნაკრებთან შეხვედრისას, წაქცეული მიხეილ ყაველაშვილი ჩაწიხლა, უელსელი ვინი ჯონსი მსახიობობითაცაა ცნობილია*





# დევიდ კინოში გინდა?

## ჯონსმა სიმენს მსახიობობა ურჩია

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ მან რამდენიმე ფილმში ითამაშა და საკმაოდ წარმატებულად. ჯონს ახლა თვალი დევიდ სიმენისთვის დაუდგამს. უელსელის აზრით, სიმენის გარეგნობის კაცი კინოკამერისთვის ზედგამოჭრილია.

„დევიდს ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ მსახიობობაზე სერიოზულად იფიქროს. მას ძალიან მოუხდებოდა რომელიმე ისტორიულ ფილმში კეთილშობილი რაინდის როლი. გასაგებია, რომ 40 წლის კაცს, ფეხბურთიდან კინოში გადასვლა შესაძლოა გაუჭირდეს, მაგრამ მთავარი პირველი ნაბიჯია და მერე ყველაფერი თავისთავად მოვა“.

ბრიტანული მედიის ცნობით, ვინი ჯონსი დევიდ სიმენს ერთ-ერთ სერიალის რეჟისორთან რეკომენდაციას გაუწევს. ფილმი ისტორიულ თემაზეა, რომელშიც უელსელი ბოროტ გმირს განასახიერებს. „ყოველთვის უარყოფით პერსონაჟების როლში მეპატიჟებიან. ასეთი სიფათი რომ მაქვს იმიტომ? არადა, კეთილი კაცის როლს სიამოვნებით შევასრულებდი“ — დაიჩივლა ჯონსმა.

**გაჟა ხუციშვილი**

# დანიელის სამი ინგლისური

## ლაურსენს გალიანიმ კაცურად გაუგო



**მარტინ ლაურსენს** „მილანიდან“ პრემიერლიგაში გადასვლა არ ასცდება. 27 წლის დანიელი „შავ-წითელთა“ შემადგენლობაში ვერა და ვერ ხვდება, რის გამოც სეზონის ბოლოს წავა, ოღონდ სად: „ლივერპულში“, „მიდლსბროში“ თუ „ტოტენჰემ ჰოთსპურში“? ყველაზე მეტად სწორედ ამ გუნდებმა გამოიჩინეს ინტერესი.

„ადრიანო გალიანის ჩემს მდგომარეობაზე ვესაუბრე — თქვა ფეხბურთელმა — მან გამიგო და მითხრა, რომ თუ მსურს, შემიძლია წავიდე“.

გავიხსენოთ, რომ ლაურსენის „მილანიდან“ წასვლაზე შარშან ზაფხულშიც იყო ლაპარაკი, მაგრამ მაშინ კლუბმა დაიჟინა და გადაათქმევინა. როგორც გაირკვა, სულ ტყუილად. აი, მაგალითად, ახლა, როდესაც ალესანდრო ნესტა დაშავებულია, „მილანის“ ძირითადში დანიელს კი არ ანდეს ადგილი, არამედ 38 წლის ბილი კოსტაკურტას.

მარტინ ლაურსენი 1998 წლის შემდეგ იტალიაშია. თავიდან „ვერონაში“ თამაშობდა, შემდეგ „პარმაში“, ახლა კი „მილანშია“.

**ბაპუნა ძიძია**

# ცხელი ათეული ბაქსტერმა მოიგო

**სამხრეთ** აფრიკის ნაკრებმა იანვარში გამართულ აფრიკის ერთა თასზე ჯგუფიდან ვერ გააღწია და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გამოცდილი მწვრთნელის ძებნა დაიწყო.

მათ ათამდე კანდიდატი შეარჩიეს და ამ ათიდან ინგლისელი ბრაიანტ სტიუარტ ბაქსტერი არჩიეს.

„ძალიან კმაყოფილები ვართ არჩევანით. მას მცოდნე მწვრთნელის რეპუტაცია აქვს და პირველივე შეხვედრისას ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“ — თქვა ფედერაციის მოხელემ, ველი მაჰლანგუმ.

ბრაიტონ ბაქსტერი ინგლისის 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი იყო. ასევე მუშაობდა იაპონიაში, ნორვეგიაში, პორტუგალიაში და შვედეთში. ფეხბურთელობისას „პრესტონში“, „სტოკპორტში“ და „დანდიში“ უთამაშია.

შვედეთში აიკ-ს წვრთნიდა და გუნდმა მისი თავკაცობით ერთ სეზონში ჩემპიონობა და თასი მოიგო.

სამხრეთაფრიკელთა ახალ მწვრთნელს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. მან ნაკრები 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გაიყვანოს, ოფიციალურად კი მუშაობას აპრილში პირველი საკვალიფიკაციო მატჩი კი 5 ივნისს ელის.

**გაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

**მილანი (იტალია) 4:1 დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი)**
0:1 პანდიანი (11), 1:1 კაკა (45), 2:1 შევჩენკო (46), 3:1 კაკა (49), 4:1 პირლო (53)
მილანი: დიდა, კაფუ, კოსტაკურტა, მალდინი, პანკარო (სერჟინიო 73), გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო (ტომასონი 84), ინძაგი (ამბროზინი 79)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
დეპორტივო: მოლინა, სკალონი, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, კაპდევილა, სერხიო (მანუელ პაბლო 81), მაურო სილვა, დუშერი (ფრანი 66), ვალერონი, პანდიანი, ლუკე (ტრისტანი 83)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: სკალონი (48), კოსტაკურტა (59)
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
60 335 მაყურებელი

## მოულოდნელი პასუხი
### მილანმა ნახევარფინალს მიუკაკუნა



მილანელი კაკას პირველი გოლი

**რვაწუთიან** მონაკვეთში ოთხი ჩინებული გოლი მეტოქის მიერ ადრე შეგდებული ერთის პასუხად — აი, ასეთი უპირატესობით ჩავა „მილანი“ ლა კორუნიაში საპასუხო შეხვედრის ჩასატარებლად. დაგვეთანხმებით, „შავ-წითლები“ ნახევარფინალთან მეტისმეტად ახლოს არიან.

გავიხსენოთ, რომ ორი კვირის წინ, მერვედფინალში, „დეპორტივომ“ შეჯიბრებიდან „იუვენტუსი“ გააგდო. ამის გამო ესპანელები „მილანთან“ ბრძოლის წინაც საკმაოდ იმედიანად იყვნენ და „სან სიროზე“ პირველივე წუთიდან მაღალი ტემპი შესთავაზეს მასპინძლებს. დიახ, მაღალ ტემპს თავიდან სწორედ ხავიერ ირურეტას გუნდმა მიმართა. ლაკორუნიელები მოზომილი და ეფექტური პასებით ასხამდნენ ხორცს 4-2-3-1 სქემას, ხოლო ბრაზილიელ კაკას არგენტინელი ალდო დუშერი მეურვეობდა.

„მილანის“ თავკაცმა, კარლო ანჩელოტიმ 4-2-2-2 განლაგებას მიმართა. ამ სქემაში კაკას მხარდამხარ ფორვარდების უკან ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფი იყო ჩასმული და ასეთი განლაგება ესპანელების საჯარიმო მოედნის წინ ხალხმრავლობას იწვევდა. ალბათ, ამ ხალხმრავლობის ბრალიც იყო, კაკამ თავიდან ბურთის გასაგორებელი სივრცე რომ ვერ იპოვნა, სტუმრებმა კი კონტრშეტევებს მიმართეს და მე-10 წუთზე ალბერტ ლუკეს ჩაკიდებულ ბურთს ვალტერ პანდიანიმ ჰკრა თავი. თუმცა პირველ ჯერზე პანდიანის ხელი მოეცარა, ერთი წუთის შემდეგ კი ხუან კაპდევილას ჩაწოდებულს უკვე წარმატებით გამოეხმაურა.

„მილანში“ — აქვე უნდა ითქვას — რომ გამოირჩეოდა კახა კალაძის ადგილზე მოთამაშე ჯუზეპე პანკარო, რომელიც შეტევაში ოსტატური ჩაკიდებებით ცდილობდა თანაგუნდელებისთვის საგოლე მომენტების შექმნას, მაგრამ კაცი, რომელმაც ნამდვილი ვარსკვლავობა იკისრა, კაკა გახლდათ. 21 წლის ბრაზილიელი მე-16 წუთზე კაფუს ჩაკიდებულს გამოუხტა, მაგრამ ვერ შეაგდო, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც პაოლო მალდინიმ სერხიო გონსალესს წაართვა ბურთი, ისევ კაკას დარტყმულით სცადეს მილანელებმა ანგარიშის გათანაბრება.

მილანელთაგან დიდებული შანსი ჰქონდა ფილიპო ინძაგისაც, რომელიც პანკაროს პასს გამოუხტა, მაგრამ მეკარე ხოსე მოლინამ და ნურედინ ნაიბეტმა ბურთი მოიგერიეს, ხოლო როდესაც კაფუმ ესპანელთა დაცვა ცრუმოძრაობით მოატყუა და ჩააწოდა, ამ დროს კაკა დუშერს დაუსხლტა და ბურთი ჯერ დაიმორჩილა, შემდეგ კი დაარტყა, ანგარიში გათანაბრდა.

ასე დასრულდა პირველი ტაიმი, ხოლო შესვენების შემდეგ ხავიერ ირურეტას გუნდს ფეხქვეშ მიწა გამოეცალა და მის კარში რვა წუთში სამი გოლი გავიდა. თამაშის განახლებიდან 20 წამში შევჩენკომ ბურთი იგდო, ნაიბეტზე წავიდა, მაგრამ კუთხე მოხერხებულად მოჭრა და მოლინას კარში, შორეულ კუთხეში შეაგდო. ორი წუთის შემდეგ ზეედორფმა დაახლოებით იმდაგვარივე პოზიციიდან განავითარა შეტევა და საგოლე პასი კაკას მიაწოდა, ხოლო ბოლოს ანდრეა პირლომ 25 მეტრიდან წარმატებული ჯარიმა დაარტყა.

ხავიერ ირურეტა: „ჩვენი მიზანი მილანში გოლის გატანა იყო, მაგრამ მასპინძლები პასუხად ოთხს თუ გაგვიტანდნენ, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. მეორეც რომ შეგვეგდო, ანგარიში მაინც უფრო საიმედო გამოვიდოდა და გვქონდა კიდეც ამის შანსი, მაგრამ ვერ შევძელით“.

კარლო ანჩელოტი: „შესვენებისას ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ „დეპორტივო“ ბურთს მაინც თავისუფლად ფლობდა და მეტი შეზღუდვა, მეტი მიწოლა იყო საჭირო. და მაინც, სამი გოლის ასე შეყრა წარმოუდგენელი იყო. დღეს შედეგი დიდ უპირატესობას გვაძლევს, თუმცა ესპანეთში ჩასვლა და დღევანდელსავით თამაში ჯერ კიდევ მოგვეთხოვება. მნიშვნელოვანი იყო, რომ შეცდომის გამო გოლის გაშვების შემდეგ ნირი არ წაგვიხდა“.

პაოლო მალდინი: „გოლი რომ გავუშვით და ჩამოვრჩით, რაღაც შოკისმაგვარი ვიგრძენით, მაგრამ ასეთი რამ ამ სეზონში რამდენჯერმე მოხდა და თავის შეკავება, ემოციის ძლევა და ბრძოლის გაგრძელება ვისწავლეთ. ვიცით, როგორ გამოვასწოროთ ჩამორჩენა“.

კლარენს ზეედორფი: „გადამწყვეტი როლი იმან ითამაშა, რომ 1:1-დან 3:1-მდე ძალიან სწრაფად ავედით. „დეპორტივო“ ამ მატჩისთვის ძლიერად იყო მომზადებული. მათი თამაში შეხვედრის კარგა დიდი პერიოდის მანძილზე უპირატესი იყო, მაგრამ შესვენების შემდეგ რამდენიმე შეცდომა დაუშვეს და ერთ-ერთით ანდრეი შევჩენკომ ისარგებლა.“

ალბერტ ლუკე: „პირველი და მეორე გოლები ძალიან ცუდ დროს გავუშვით, ხოლო რვა წუთში სამის გაშვება იმას ნიშნავდა, რომ მეოთხედფინალიდან გავვარდით. ასეთი გუნდის წინააღმდეგ რომ თამაშობ, 1:4 მეტისმეტია“.

ხოსე მოლინა: „მილანელებს დიდი გუნდი რომ ჰყავთ, დღეს ნათლად გამოჩნდა. მეორე ტაიმის დასაწყისში მათ სამი მომენტი ჰქონდათ და სამივე გამოიყენეს. ცხადია, რაკილა გოლი გადის, ესე იგი, ვიღაცა შეცდომას უშვებს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთმა გუნდმა ყველა შეცდომით ისარგებლოს. ეს მეორის უიღბლობაა“.

**პაპუნა ძიძია**



პაოლო მალდინი

## ამაყი მალდინი
### შევჩენკომ სან სიროს საიდუმლო გათქვა

**„ვამაყობ** ასეთი გუნდის კაპიტანი რომ ვარ“ — განაცხადა პაოლო მალდინიმ, რომელსაც „დეპორტივოსთან“ თამაშის წინ კუნთი სტკიოდა და მისი ამ შეხვედრაში მონაწილეობა ერთობ საეჭვოც გახლდათ. ვეტერანმა განაგრძო:

„ამ გუნდის არსებობა საერთოდ სპორტისთვის, ფეხბურთისთვის არის კარგი. მგონი, ჩვენს თამაშს ნებისმიერი ნეიტრალური მაყურებელი აფასებს“.

„მილანი“ „დეპორტივო ლა კორუნიას“ ორჯერ შეხვედრია და ორივეჯერ „შავ-წითლებმა“ იმძლავრეს. ამ ორს შორისაა გასული სეზონის 4:0 -იც, თუმცა ამაზე ყურადსაღები და შთამბეჭდავი ის გახლავთ, რომ მილანელებს მიმდინარე სეზონში, ჩემპიონთა ლიგაში, სტუმრად თამაში არ აქვთ წაგებული.

„დარწმუნებული ვარ, რომ თუ ლა კორუნიაშიც ისე ვითამაშებთ, როგორც ამ სეზონში სტუმრად ვთამაშობთ ხოლმე, მიზანს მივაღწევთ“ — დასძინა კაპიტანმა.

ხოლო ჩემპიონთა ლიგაში, მოგეხსენებათ, კენჭისყრამ სამომავლო ბედიც გამოავლინა და ამთავითვეა ცნობილი, რომ „მილანსა“ და „დეპორტივოს“ შორის გამარჯვებული ანუ სავარაუდოდ „მილანი“ „პორტუსა“ და „ლიონს“ შორის გამარჯვებულს შეხვდება.

„მილან“ — „დეპორტივოს“ მატჩის პარალელურად, „პორტუმ“ „ლიონს“ 2:0 მოუგო.

„მიჯობს დავიცადო, სანამ საპასუხო თამაშებიც გაიმართება და კომენტარი მერე გავაკეთო — თქვა „მილანის“ თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ — ის კი შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი გუნდი იმდენად დიდია, რომ ამ სეზონში ყველა ჯილდოს იმსახურებს. ჩვენ ყველანი ერთად ვმუშაობთ და მე, მაგალითად ფილიპო ინძაგის გატანილი გოლი ისევე მახარებს, როგორც მას თავად. „დეპორტივოსთან“ ინძაგიმ გოლი წესების დაცვით შეაგდო და რომ არ ჩაუთვალეს, მსაჯის შეცდომა იყო.“

აღსანიშნავია, რომ უკრაინელი ფორვარდი დღეისთვის სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირია, თუმცა ამით ცხადია, ვერ დაკმაყოფილდება, რადგან რაც „სან სიროზე“ გადავიდა, ერთხელაც არ გამხდარა იტალიის ჩემპიონი.

„ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება სკუდეტოზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ამწუთას ორივეს მოპოვების შანსი გვაქვს და თუ შევძელით, დიად დუბლს გავაკეთებთ. ქომაგებს ჩვენი ფეხბურთის ცქერა სიამოვნებას ანიჭებთ, ხოლო თავად ჩვენ მოედანზე ვხალისობთ და „მილანის“ წარმატების საიდუმლოც ეს არის“ — თქვა მეგოლემ.

**პაპუნა ძიძია**



„მილანი“ „დეპორტივოსთან“ ანდრეი შევჩენკომ ამ დარტყმით დააწინაურა

CHAMPIONS LEAGUE

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

CHAMPIONS LEAGUE

ეროვნული ბიბლიოთეკა




## პანდიანის გული ტკივა და სასწაულის არ სჯერა

*„მილანი“ — „დეპორტივოს“ ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ურუგვაელი ვალტერ პანდიანის ლამაზი გოლით „სან-სიროზე“ ანგარიში სტუმართა სასარგებლოდ გაიხსნა, შეხვედრის პირველ ნახევარშიც ესპანელები მძინვარე „მილანს“ მშვენივრად უმკლავდებოდნენ, მაგრამ... საჩემპიონთალიგო საშინელ მეოთხედფინალზე გულნატკენ ფორვარდს ესპანური „ლიბრედირექტო“ ნამატჩევს ესაუბრა*

— პირველი ტაიმის შემდეგ „დეპორისთვის“ თითქოს ყველაფერი კარგად უნდა წარმართულიყო, თუმც „სან სიროზე“ თქვენი გუნდისთვის ნამდვილი საფეხბურთო ტრაგედია დატრიალდა. რითი ახსნით „მილანთან“ დიდი ანგარიშით წაგებას?

— ის, რაც თამაშის მეორე ნახევარში მოხდა, ძნელი ასახსნელია. „მილანის“ სწრაფმა გოლებმა „დეპორტივოს“ შანსები ნახევარფინალში გასასვლელად თითქმის მოსპო. მართალია, საპასუხო მატჩი წინ გველის, მაგრამ ბედის ჩვენსკენ შემობრუნება ახლა ძალიან ძნელი იქნება...

— თქვენ და თქვენმა თანაგუნდელებმა ჯოხოხეთური რვა წუთი გაიარეთ. გულახდილად გეტყვით, იმ დროს მომეჩვენა, რომ „დეპორტივო“ მოედანზე უბრალოდ არ არსებობდა...

— მართალია. გული მტკივა, როცა ამას ვიხსენებ, მაგრამ სრულ სიმართლეს ამბობთ. 1:2-ზე აღარ ვიცოდით მეტოქისთვის რა მოგვეხერხებინა, მესამე და მეოთხე გოლებმა კი საბოლოოდ გაგვტეხა.

— საპასუხო მატჩამდე 15 დღე რჩება და დარწმუნებული ვარ, რომ მიუხედავად უმძიმესი ვითარებისა, ხავიერ ირურეტა ფარხმალს არ დაყრის. „რიასორზე“ სასწაულს უნდა ველოდოთ?

— შეუძლებელი არაფერია 90 წუთი საკმარისი დროა, როგორც თქვენ თქვით, სასწაულის მოსახდენად და ამისთვის მაღალ დონეზე თამაშია საჭირო. ბოლოს და ბოლოს, „რიასორი“ ჩვენი სარბიელია, გასეირნება იქ „მილანსაც“ არ ელის, თუმც ზემოთაც ვთქვი, მეეჭვება ნახევარფინალში გავიდეთ.

— თუ ისე ითამაშეთ, როგორც იტალიური მატჩის პირველ 45 წუთში, შესაძლოა, ლაკორუნიელმა ინჩასებმა ტრიბუნები უკმაყოფილოდ არ მიატოვონ...

— ლა კორუნიაში საოცარი თამაშები გვაქვს მოგებული, ანჩელოტის ბიჭებთანაც თავს არ დავზოგავთ, მაგრამ გადამეტებულადაც ნურავინ იოცნებებს — ურთულესი მოწინააღმდეგე გვყავს...

## ამას გასწავლიდით?! ლიონს დეკო ეყო

**პორტუ (პორტუგალია) 2:0 ლიონი (საფრანგეთი)**
1:0 დეკო სოუზა (44), 2:0 კარვალიუ (71)
**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, პედრუ ემანუელი, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, ალენიჩევი (რ. ფერნანდეში 82), კოშტინია (ბოსინგვა 78), მანიშე, დეკო სოუზა, მაკკარტი, კარლოს ალბერტო (იანკაუსკასი 58)
**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ
**ლიონი:** კუპე, დეფლანდრე (რეველიერი 73), ედმილსონი, მიულერი, მალუდა, ჟუნინიო პერნამბუკანო (დორასო 46), ლუინდულა, მ. დიარა, ესიენი, ელბერი, გოვუ
**მწვრთნელი:** პოლ ლე გუენი
**გაფრთხილება:** ნუნუ ვალენტე (33), მალუდა (61), ბოსინგვა (83), მიულერი (89), ფერნანდეში (90)
**მსაჯი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
46 910 მაყურებელი

**პორტუგალიაში** ფრანგული გუნდების სტუმრობა მეტწილად ისე მთავრდება, როგორც პორტუში „ლიონის“ ვიზიტი დასრულდა. ფრანგებს მუდამ უჭირდათ და ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა.

„შინ ყოველთვის მეტის გატანას ვცდილობთ, რომ საპასუხო მატჩისთვის შედარებით მშვიდად ვიყოთ — თქვა ჟოზე მაურინიუმ — მაგრამ ამჯერად შეტევაში უკან მოუხედავად არ გავქცეულვართ. გუნდმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა და ხელსაყრელი მომენტები მაქსიმალურად გამოიყენა. შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ არ მავიწყდება, რომ წინ 90 წუთი გველის.“

კოლეგისგან განსხვავებით, პოლ ლე გუენი, ცხადია, უხასიათოდ იყო: „ძალიან გავბრაზდი, როცა მეორე გოლი გაგვიტანეს. ვარჯიშებზე მსგავს ეპიზოდებს ვამუშავებდით, რადგან ვიცოდით — „პორტუ“ სტანდარტულ მდგომარეობას კარგად იყენებს. თავდაუზოგავი მეცადინეობის მიუხედავად, მაინც გავუშვით. მეორე ტაიმში რამდენიმე საგოლე მომენტი შევქმენით, რომლებიც უხეიროდ დავასრულეთ. ტაქტიკურად გუნდმა გამართულად ვერ ითამაშა, რამაც საბოლოოდ მარცხი განაპირობა. შედეგით უკმაყოფილო ვარ, თუმც შანსი არსებობს და ბიჭებს მოტივაციის ძებნა ალბათ არ უნდა დასჭირდეთ საიმისოდ, რომ ლიონში მეტოქეს სძლიოს“.

მოწინააღმდეგეები თავიდან ისე ფრთხილობდნენ, როგორც ამ დონის შეხვედრას ეკადრებოდა. თხუთმეტი წუთის განმავლობაში მასპინძლებმა კარში ორჯერ დაჰკრეს. ალენიჩევისა და მაკკარტის მცდელობა ამაო გამოდგა.

მოგვიანებით სტუმრებმაც მიაღწიეს დამხვდურთა საჯარიმომდე, მაგრამ ჯოვანი ელბერს ვიტორ ბაიამ არ გაატანია.

ამას მოჰყვა ბენი მაკკარტის და დეკუს დარტყმები. ორჯერვე გრეგორი კუპემ იყოჩაღა. „ლიონის“ მეკარე ერთხელ კარლოს ალბერტომაც შეაწუხა და ფრანგმა ამჯერადაც ივარგა.

ლიონელთაგან სიდნეი გოვუმ და კვლავ ჯოვანი ელბერმა გაისროლეს ბაიას კარისკენ. პირველმა ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა, ბრაზილიელს კი მეკარემ აჯობა.

ტაიმის მიწურულს თამაში გაიხსნა. ლიონელთა იერიში მასპინძლებმა ჩაჭრეს და ბურთთან სამ შეხებაში ანგარიში გახსნეს. კარლოს ალბერტომ მარჯვება ფლანგზე ჩაირბინა და შორ ძელთან ბენი მაკკარტის ჩააწოდა, რომელმაც კარის ხაზთან ბურთი დეკოს დაუგდო. „პორტუს“ გამთამაშებელს ახლოდან გატანა არ გასჭირვებია. შესვენებამდე ერთი საჯარიმო დარტყმა ჟუნინიომ შეასრულა, მაგრამ ვიტორ ბაიამ იოლად მოიგერია. ჟუნინიო მოგვიანებით დაშავდა და იგი ვიკაშ დორასომ შეცვალა.

მეორე ტაიმი პირველზე გაცილებით საინტერესო გამოდგა, რაკი „ლიონმა“ გასათანაბრებლად შეუტია და მასპინძლებს კონტრიერიშზე თამაშის მეტი საშუალება მიეცათ. პორტუელებმა კარგად შესრულებული საჯარიმოს შემდეგ მეორედ იხეირეს. ამ შემთხვევაში დეკუს პასით კარვალიო გამოირჩა, რომელმაც მეტოქის მცველებს დაასწრო და ბურთი თავით გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**




კარლოს ალბერტო და ერიკ დეფლანდრე

## საშიში ბაკალი
### მადრიდის ტერაქტამდე ბექჰემი ტერორისტს ელაპარაკა

**დევიდ ბექჰემი** თურმე იცნობს მადრიდის ტერაქტებში ეჭვმიტანილ მოჰამედ ბაკალის. ბექჰემი ერთხელ შეხვედრია ტერორისტს მატარებლის აფეთქებამდე რამდენიმე კვირით ადრე.

ეს მოჰამედი „რეალის“ დიდი გულშემატკივარი ყოფილა და ბექჰს გუნდის საწვრთნელი ბაზის, „ლას როსასის“ წინ შეხვედრია, დაბადების დღე მაქვს და ავტოგრაფი მომეციო. აბა, ფეხბურთელმა რა იცოდა, რომ სისხლისმსმელ ალ-ქაიდელს აჯილდოვებდა.

ესპანეთის პოლიციამ ბარათი მკვლელის სახლის ჩხრეკისას იპოვა.

ტერორისტის და შასაფაც „რეალის“ დიდი ქომაგი ყოფილა, ბექჰემის ნომრიანი მაისურაც მის სახლში უპოვიათ.

ბაკალიმ დაკითხვისას თქვა, რომ ხშირად ესწრებოდა „რეალის“ ვარჯიშებს და საფეხბურთო ჟურნალისტივით ღრმად იცოდა კლუბის ისტორია.

„რეალის“ პრეს-მდივანმა ასევე დაადასტურა, რომ იმ გულშემატკივართა შორის, რომლებიც ბაზის კართან ელიან ხოლმე ფეხბურთელებს, ბაკალიც არაერთხელ უნახავს.







# ჩხუბი გაფრენამდე

## ბარსელონა გლაზგოელებს ბევრ გოლს და ბევრ ლუდს ჰპირდება

*თასის მსურველთა რიცხვი დღეს განახევრდება, მანამდე კი რამდენიმე სტრიქონით წარსულს დავუბრუნდეთ. გავიხსენოთ, რა ხდებოდა უეფას თასის ამ საუკუნის მერვედფინალებში.*

### უეფას თასი

UEFA CUP 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს UEFA CUP

ბრიუგე (ბელგია) — ბორდო (საფრანგეთი) (1:3)
პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ოსერი (საფრანგეთი) (1:1)
რომა (იტალია) — ვილიარეალი (ესპანეთი) (0:2)
ინტერი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) (0:0)
მარსელი (საფრანგეთი) — ლივერპული (ინგლისი) (1:1)
მალიორკა (ესპანეთი) — ნიუკასლი (ინგლისი) (1:4)
ბარსელონა (ესპანეთი) — სელტიკი (შოტლანდია) (0:1)
ვალენსია (ესპანეთი) — გენჩლერი (თურქეთი) (0:1)

2000-2001

შემადგენლობით ამჟამინდელი მერვედფინალი ძალიან ჰგავს. მაშინაც ოთხი ესპანური გუნდი იყო: „ბარსელონა“, „სელტა“, „ალავესი“ და „რაიო ვალეკანო“. საინტერესოა, რომ მეოთხედფინალში ოთხივე გავიდა. ასევე იყვნენ: „რომა“, „ლივერპული“, „ინტერი“, პსვ და „ბორდო“. რომაელები „ლივერპულმა“ გამოთიშა, „ინტერი“ — „ალავესმა“, პსვ-მ — „პარმა“, ხოლო „ბორდო“ „რაიო ვალეკანომ“ შეიწირა.

2001-2002

მილანის „ინტერი“ ათენის აეკ-ს გადაეყარა და სძლია. პსვ-ს „ლიდსი“ ერგო და ჰოლანდიელებმა ისევ გააღწიეს მეოთხედფინალში, ხოლო „ვალენსია“ „სელტიკს“ შეხვდა და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

2002-2003

„სელტიკმა“ „შტუტგარტთან“ ორმატჩიან მძიმე ბრძოლაში შეძლო მეოთხედფინალში გასვლა. „ლივერპულს“ კი, ისევე როგორც ახლა, ფრანგული გუნდი, ოღონდ „ოსერი“ დაეჯახა და ინგლისელებმა მეტოქე ორივე შეხვედრაში დაამარცხეს.

ახლა კი წლევანდელისა ვთქვათ. ორი კვირის წინ გლაზგოში დაწყებული გარჩევა დღეს „კამპ ნოუზე“ გაგრძელდება. ბრწყინვალე ფორმაში მყოფი ორი გუნდი კიდევ ერთ სპექტაკლს დადგამს.

ბარსელონაში 20 ათასამდე შოტლანდიელის ჩასვლაა მოსალოდნელი. კატალონიელებმა მეტოქის გულშემატკივრებს მხოლოდ 5 ათასი ბილეთი არგუნეს. დანარჩენები ქალაქის ლუდხანებს შეესევიან და შემთვრალნი უქომაგებენ „თეთრ-მწვანეებს“. აეროპორტში ჩასულ „სელტიკის“ ერთ-ერთ ფანს უთქვამს, ოღონდ შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდეს, ხელს არაფერს ვახლებთ, არ დავამტვრევთო.

„ბარსელონამ“ პრიმერადივიზიონში ზედიზედ მეცხრე მატჩი მოიგო და გუნდი „მეცხრე ცაზეა“. ცხადია, უკეთესი იქნებოდა, სავიოლას დღეს თამაში შეეძლოს, მაგრამ არგენტინელი დისკვალიფიცირებულია. „ბაჭია“ გლაზგოში გააძევეს. ასევე ვერ დაეხმარება გუნდს დასჯილი ტიაგო მოტა. მან „სელტიკ პარკზე“ გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში მასპინძელ მეკარე დაგლასთან იჩხუბა. ეს ჩხუბი სელტიკელებს გაცილებით ძვირად დაუჯდათ. მათ ჰედმანიც ტრავმირებული ჰყავთ და კარში გამოუცდელი, 19 წლის დევიდ მარშალის დაყენება მოუწევთ.

ჰედმანის გარდა ტრავმირებულთა შორის არიან ვალგაერენი, ჰარტსონი და მელოუნი. სატონის, ტომპსონის და ვარგას თამაშიც საეჭვოა, ხოლო ბალდეს ზედმეტი ყვითელი ბარათები დაჰგროვებია და ამიტომ დაისვენებს.

ფრანკ რაიკარდის კარლეს პუიოლის ჯანი ადარდებს. „ბარსელონას“ კაპიტანი „სოსიედადთან“ შეხვედრაში ნიჰათს შეეჯახა და მუცლის ტკივილს შეუწუხებია. ექიმები დღეს გადაწყვეტენ, შეძლებს თუ არა თამაშს. კაპიტნის გამოკლების შემთხვევაში რაიკარდი დაცვის ცენტრს რაფაელ მარკესს და ოლეგერს ჩააბარებს.

რადგან ედგარ დავიდსს უეფას თასზე თამაშის უფლება არა აქვს, მას ალბათ ხერარდი შეცვლის. ხოლო, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყო, სავიოლას მაგივრად მწვრთნელმა შესაძლოა, ლუის ენრიკე ათამაშოს. რონალდინიოს ოდნავ აწუხებს კოჭი, მაგრამ ისე არა, რომ ფინტაობაში ხელი შეუშალოს.

| 5232 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 1,7 |
| 5233 | ბრეშა-ანკონა | 1,95 | 1,65 |
| 5234 | იუვენტუსი-მოდენა | 1,95 | 1,65 |
| 5235 | მილანი-კიევო | 1,9 | 1,7 |
| 5236 | პარმა-ემპოლი | 1,8 | 1,8 |
| 5237 | პერუჯა-ლაციო | 1,8 | 1,8 |
| 5238 | რეჯინა-ინტერი | 1,75 | 1,85 |
| 5239 | რომა-ბოლონია | 1,9 | 1,7 |
| 5240 | სამპდორია-ლეჩე | 1,75 | 1,85 |
| 5241 | სიენა-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 5242 | მალაგა-ალბასეტე | 1,8 | 1,8 |
| 5243 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 1,6 | 2,0 |
| 5244 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1,8 | 1,8 |
| 5245 | ბეტისი-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 5246 | სოსიედადი-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| 5247 | მურსია-მალიორკა | 1,75 | 1,85 |
| 5248 | სელტა-სარაგოსა | 1,85 | 1,75 |
| 5249 | ესპანიოლი-ბილბაო | 1,8 | 1,8 |
| 5250 | რეალი-სევილია | 2,0 | 1,6 |
| 5251 | რასინგი-ვალენსია | 1,75 | 1,85 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5105 | ბრიუგე-ბორდო | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5106 | პსვ-ოსერი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5107 | რომა-ვილიარეალი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5108 | ინტერი-ბენფიკა | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5109 | მარსელი-ლივერპული | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5110 | მალიორკა-ნიუკასლი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5111 | ბარსელონა-სელტიკი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5112 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 5113 | ბოლონია-ლაციო | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5114 | ბირმინგემი-ლიდსი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5115 | ბლეკბერნი-პორტსმუთი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5116 | ჩარლტონი-ასტონ ვილა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5117 | ჩელსი-ვულვერჰემპტონი | 1,45 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 5118 | ევერტონი-მიდლსბრო | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5119 | სიტი-ფულემი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5120 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5121 | ბოლტონი-ნიუკასლი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5122 | ლესტერი-ლივერპული | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5123 | არსენალი-მანჩესტერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5124 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5125 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 5126 | ლევერკუზენი-ჰერტა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5127 | ფრაიბურგი-კიოლნი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5128 | აინტრახტი-მიუნხენი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5129 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5130 | ბოხუმი-შალკე | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5131 | შტუტგარტი-ვერდერი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5132 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5133 | ბრეშა-ანკონა | 1,3 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5134 | იუვენტუსი-მოდენა | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5135 | მილანი-კიევო | 1,65 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5136 | პარმა-ემპოლი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5137 | პერუჯა-ლაციო | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5138 | რეჯინა-ინტერი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5139 | რომა-ბოლონია | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5140 | სამპდორია-ლეჩე | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5141 | სიენა-უდინეზე | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5142 | მალაგა-ალბასეტე | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5143 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5144 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5145 | ბეტისი-ბარსელონა | 5,0 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5146 | სოსიედადი-დეპორტივო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5147 | მურსია-მალიორკა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 5148 | სელტა-სარაგოსა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5149 | ესპანიოლი-ბილბაო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5150 | რეალი-სევილია | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 15,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5151 | რასინგი-ვალენსია | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთავარია გაგება? არა, პრინციპი

## ბესიკ ლიპარტელიანი

# ბრაიკოვიჩის ცოდნა ნაკრებში გამოჩნდება

*მომავალი წლის სექტემბერში ქართული კალათბურთის ბედი გადაწყდება. არ ვაჭარბებთ. სპორტის ეს სახეობა ჩვენში არ გადაშენდება, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილები ყოველთვის მოვძებნით კალათს ბურთის სასროლად, მაგრამ მხოლოდ ერთი ადგილის ტკეპნა და გარე სამყაროსგან გათიშვა რომ საბოლოოდ ჩაფერფლავს ჩვენს ისედაც უფერულ კალათბურთს, რა საკამათოა.*

*ექვს თვეში საქართველოს ნაკრებმა ევროკარიბჭეზე დადებულ ცხრაკლიტულს პირველი გასაღები უნდა მოარგოს, 2007 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებას. ჯგუფში სერიოზული მეტოქეები გვყავს, თუმც მხოლოდ მათი ძლევა არ კმარა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში გასაღწევად. ღმერთმა არ ქნას და თუ 16 გუნდში საქართველო საუკეთესო ორეულში ვერ მოხვდა, 2009 წლამდე ვემშვიდობებით კონტინენტის პირველობაზე თამაშის იმედს. მიზნის მისაღწევად ერთი შეხედვით ყველა პირობა არსებობს — მძლავრი ლეგიონი და უცხოელი მწვრთნელი. დრაჟენ ბრაიკოვიჩი უკვე წელიწადზე მეტია, ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა და ფედერაციის ხელმძღვანელობასაც გარკვეული შთაბეჭდილება შეექმნა მასზე. ხორვატი მწვრთნელის გაწეული სამუშაოს შესაფასებლად და ნაკრების გეგმების გასაგებად გუშინ ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს ვესტუმრეთ...*



ბუბა [illegible] ფოტო

ბესიკ ლიპარტელიანი და დრაჟენ ბრაიკოვიჩი

— ახლახან დაბრუნდით კიევიდან, რას უკავშირდებოდა თქვენი ვიზიტი?

— უკრაინის დედაქალაქში ფიბა-ევროპამ გრანდიოზული ღონისძიება ჩაატარა. მოეწყო ოლ სტარი, მრავალი კონკურსი, თითქმის მთელი ევროპის ფედერაციების წარმომადგენლები იქ შეიკრიბნენ. ამასთან საქმიანი შეხვედრებიც მქონდა ფიბა-ევროპის ხელმძღვანელობასთან.

— **ნაკრების თაობაზე?**

— არა, ის უცნაური ამბავი გავარკვიეთ, ამას წინათ რომ გავრცელდა ევროპულ პრესაში. რუსეთში მოთამაშე ამერიკელ ქალ კალაბურთელებს, ოლიმპიურ ჩემპიონებს იოლანდა გრიფიტს და დელიშა მილტონს საქართველოს მოქალაქეობა ჰქონიათ. დღეს ყველაფერი გარკვეულია, პასპორტები ბათუმში ყოფილა გაცემული ვინმე ქათამაძეებზე და მისი ნომრები ემთხვეოდა ამ ამერიკელების ნომრებს. ჩვენ ეს ამბავი პრესაში რომ არ წაგვეკითხა, ვერც გავიგებდით. მოკლედ, ის რუსული კლუბი დაისაჯა, ჩვენი ფედერაცია არაფერ შუაშია.

— **სექტემბრამდე საკმაო დროა, თუმც ჩვენს ნაკრებს ისეთი მნიშვნელოვანი მატჩები ელის, რომ უპრიანია, აქედანვე მოვიკითხოთ მისი ამბები...**

— მომავალი მატჩების პრინციპულობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვახერხოთ ამ ბარიერის დაძლევა.

— **რა კეთდება საიმისოდ, რომ საბოოლოდ მივაღწიოთ მიზანს?**

— ფედერაცია შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს. უცხოელი მწვრთნელი ჩამოვიყვანეთ, ყველა ლეგიონერთანაც მივაღწიეთ შეთანხმებას ნაკრებში ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ფინანსური პრობლემებიც თითქმის მოგვარებულია. ახალი მთავრობა და კონკრეტულად სპორტის მესვეურები უარს არ ამბობენ კალათბურთის დაფინანსებაზე.

— **მოდით, მწვრთნელით დავიწყოთ: ერთი წლის თავზე, როგორ შეაფასებთ დრაჟენ ბრაიკოვიჩის საქმიანობას?**

— როგორ უნდა შევაფასო, ნაკრები ფაქტობრივად არ შეკრებილა. 7-8 ლეგიონერი გვყავს, ძირითადი ბირთვი უცხოეთშია. რაც შეეხება ჩვენს ჩემპიონატში საქმიანობას, ბრაიკოვიჩს თავისი ხედვა აქვს, ის ყველას კარგად აკვირდება და ალბათ შეგულებულიც ჰყავს ნაკრების ხალხი.

— **„დინამოში“ მუშაობით როგორ შეაფასებთ მას?**

— რომ ვთქვა, აღფრთოვანებული ვარ ბრაიკოვიჩის „დინამოში“ მუშაობითა და მიღწეული შედეგებითო, არ ვიქნები მართალი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მის პროფესიონალიზმში ეჭვი მეპარება. უბრალოდ, მეორე მხრიდან შევხედოთ ყველაფერს, საქართველოს ჩემპიონატში ძალიან დაბალი დონეა ევროპასთან შედარებით, ბოლო 5-6 წელიწადში დიდი ჩავარდნა გვქონდა, რაც ნელნელა უნდა აღმოვფხვრათ.

— **დაბალ დონეს აბრალებთ, ბრაიკოვიჩმა საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე რომ ვერ გამოავლინა ეროვნულ ჩემპიონატში?**

— მთავარი მიზეზი ეგ უნდა იყოს. მე ყოფილი მწვრთნელი ვარ და მესმის ბრაიკოვიჩის, მას სწორი არგუმენტები მოჰყავს საიმისოდ, თუ რატომ ვერ მისდის მთლად კარგად საქმეები „დინამოში“. მაგალითად, მე, როცა მწვრთნელი ვიყავი, ვიცოდი, თითოეულ ჩემს კალათბურთელს რა ნაკლი ჰქონდა და ერთად ვცდილობდით ხარვეზის გამოსწორებას. ეს იყო ადრე. ახლა სხვა დროა. ბრაიკოვიჩი ახლებური, ევროპული ყაიდის მწვრთნელია, რომელმაც მოთამაშის ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე კი არ უნდა იზრუნოს, არამედ ტაქტიკაზე და სათამაშო სტრატეგიაზე. ის პროფესიონალია და მზა კალათბურთელი სჭირდება, რომელსაც მისი დავალების შესრულება არ გაუჭირდება. ის ამბობს, არ მესმის, როგორ უნდა დაიღალოს 21-22 წლის ახალგაზრდაო და მართალია. საქართველოს ჩემპიონატი ერთ ქვაბში იხარშება, აქ ახალი არაფერი ხდება და ძველებური კანონები მოქმედებს. აქ პატ რაილიც რომ ჩამოვიდეს, შეიძლება მანაც ვერ გააკეთოს უძლეველი გუნდი, რადგან აქაურებს არ ესმით უცხოური კალათბურთისა.

— **მერე ხომ იცის ბრაიკოვიჩმა, რომ აქ აქაური მიდგომაა საჭირო?**

— როგორ არ იცის, მაგრამ აქაური მიდგომა რომ არ ვარგა, იმიტომ ვართ ასეთ დღეში. მე ზურაბ ტომარაძეს ვეუბნები, ის კი ბრაიკოვიჩს, რომ საქართველოში სხვანაირი კალათბურთი უნდა ითამაშო, შედეგს რომ მიაღწიო, მაგრამ პროფესინალია ის კაცი და ამბობს, მოგების გამო მე ჩემს პრინციპებს, რაც მთელს ევროპაშია აღიარებული, ვერ ვუღალატებო.

— **„დინამო“ კარგი, მაგრამ მთავარი მაინც ნაკრებია. რას ფიქრობთ, მოარგებს ბრაიკოვიჩი თავის პროფესიონალიზმს ჩვენს ეროვნულ გუნდს?**

— უნდა მოარგოს. ჩვენი ლეგიონერები უფრო მაღალი დონის კალათბურთელები არიან და ალბათ გაუგებენ ბრაიკოვიჩს. მაგრამ აქაც არსებობს პრობლემა. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ჩვენი ლეგიონერები თბილისში ჩამოვლენ და ისევ ისეთები იქნებიან, რაც უცხოეთში, ძალიან ცდება. ქართველი როცა შინ თამაშობს, რაგინდ უხეშად არ უნდა გამოვიდეს, გინდა არ გინდა, უნდა გაიპრანჭოს. ეს, ასე ვთქვათ, ქართული მენტალიტეტის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ ქართული მიდგომაც საჭიროა, რაშიც ბრაიკოვიჩს ნაკრების ყოფილი თავკაცი ზურაბ ტომარაძე ეხმარება. ბრაიკოვიჩი ცდილობს და, სხვათა შორის, შეიცვალა ამ ბოლო დროს.

— **სწორედ ამ ბოლო დროს წააგო „დინამომ“ მიყოლებით ორი თამაში სტუ-სთან და „ბასკოსთან“...**

— წააგო, მაგრამ ბრაიკოვიჩი მაინც არ ღალატობს თავის პრინციპებს, ის ცდილობს, მისმა გუნდმა განსხვავებული კალათბურთი ითამაშოს. ამ წაგებების შემდეგ არ წაიყვანეს ის ბათუმში სათასო თამაშებზე. არ ვიცი, ეს რატომ მოხდა, „დინამოს“ მაინც განაღდებული ჰქონდა ფინალში გასვლა, თუ რამე სხვა მიზეზი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ბრაიკოვიჩი თბილისში დარჩა. ჰოდა, სწორედ იმ დღეებში მოვიდა იგი ჩემთან და მელაპარაკა, მე რომ იმას ვუღალატო, რაც ევროპაში მუშაობით შემიძენია, ყველაფერს აზრი დაეკარგებაო.

— **მწვრთნელის შეწყობასთან ერთად ნაკრებს ამერიკელი ლეგიონერების ჩამოსვლის პრობლემაც აწუხებს...**

— ნბა-ში მოთამაშე სამივე ჩვენიანთან უკვე მიღწეულია შეთანხმება, ისინი ნაკრებში სათამაშოდ ჩამოვლენ. დასაზუსტებელი დროა. ჩვენ გვინდა, ისინი რაც შეიძლება, ადრე შეუერთდნენ ნაკრებს.

— **ნბა-დან მოთამაშის ნაკრებში ჩამოყვანის განსაზღვრული პროცედურა არსებობს, რაც დაზღვევის გარეშე არ განხორციელდება. უკვე შეარჩიეთ სადაზღვევო კომპანია?**

— კომპანიის პოვნა პრობლემა არ არის, ამერიკელები რამდენიმე ქართულ სადაზღვევო კომპანიას სცნობენ და როცა საქმე საქმეზე მიდგება, ამასაც ეშველება

ამ მხრივ უკვე დავიწყეთ მუშაობა და ფიბა-ევროპის შესაბამის კომისიას დავუკავშირდით, რომელიც ნბა-ს კალათბურთელების სადაზღვევო საკითხებს არეგულირებს. ამ კომისიას ცნობილი [illegible] ტველი კალაბურთელი [illegible] კარნიშოვასი ხელმძღვანელობს, რომელიც უახლოეს ხანში ყველა ინსტრუქციის მოწოდებას დაგვპირდა. ამ მხრივ მთავარია ფასის დადგენა, რომელიც ფედერაციამ სითოთეულ ნბა-ს მოთამაშეში უნდა გადაიხადოს. შარშან ეს ფასი 50 ათას დოლარს შეადგენდა...

— **სადაზღვევო საკითხებს რომ მოაგვარებთ, „ამერიკელები“ როდისთვის ჩამოვლენ?**

— 10 ივლისს ნაკრები თბილისში შეიკრიბება ევროპელი ლეგიონერებით და იტალიური ოთხთა ტურნირისთვის დაიწყებს მზადებას. (აახლოებით ამ პერიოდში ჩამოვლენ ნიკა ცქიტიშვილი და ვლადიმერ სტეფანია, ხოლო ზაზა ფაჩულია 22 ივლისს, ტურნირის დაწყების დღეს იტალიაში შეგვიერთდება. ჩვენს გარდა იქ რუსეთის, იტალიისა და კიდევ ერთი ქვეყნის ნაკრები იქნება, რომლის ვინაობაც მალე გაირკვევა.

— **ჩვენი მეტოქეების მაკედონიის და ფინეთის დასაზვერად თუ წავა ვინმე?**

— ბრაიკოვიჩი თავის თავზე იღებს მაკედონიას, ის ხომ ხორვატია და ძალიან კარგად იცნობს ამ ქვეყნის კალათბურთს. ბრაიკოვიჩი ფინეთზეც ფლობს უკვე საკმარის ინფორმაციას.

— **მთავარი მეტოქე ალბათ მაინც მაკედონიაა, რომელსაც სწორედ იმ პოზიციაზე ულხინს, რომელზეც ჩვენ მოვიკოჭლებთ. ადრეც იყო ლაპარაკი, ვინმე ხეირიანი უცხოელი გამთამაშებლისთვის საქართველოს მოქალაქეობა მიეცათ და ნაკრებში აეყვანათ. საამისოდ მთავრობამ გამონაკლისი უნდა დაუშვას. ხომ არ აპირებთ ახალ ხელისუფლებასთან ამ საკითხის დაყენებას?**

— ამაზე ვფიქრობთ და თუ თავი დავადგით, რამდენიმე გამთამაშებელიც მონიშნული გვყავს, რომელთაგან ერთ-ერთს შევარჩევთ. საგარეო საქმეთა მინისტრის შემთხვევაში პრეზიდენტის ერთი ხელის მოწერით გადაწყდა ყველაფერი, საფრანგეთის მოქალაქე ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს უპრობლემოდ მიანიჭეს ორმაგი მოქალაქეობის უფლება.

— **კი, მაგრამ კალათბურთი სახელმწიფო დიპლომატიაზე გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანი სფეროა...**

— პრეზიდენტის ძველი კალათბურთელობის იმედი მაქვს...

— **მთავრობა ვახსენეთ და უკვე შეხვდით სპორტის გამგებელს?**

— დღეს ვესაუბრე კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძეს, რომელმაც დახმარება აღგვითქვა. ჩვენს იტალიურ ტურნირს სახელმწიფო დააფინანსებს. მხოლოდ ლეგიონერთა ერთ ჩამოსვლას 12 ათასი დოლარი სჭირდება ბილეთებისთვის.

— **ნიკა ცქიტიშვილის ფორმებითა და ბურთებით დახმარებაც ხელს წაგაშველებთ...**

— ნიკა ძალიან კარგ საქმეს აკეთებს. მისი დახმარება ერთობ ბევრ პრობლემას მოგვიხსნის. ისეთ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს უჭირს, ეს მიღებული პრაქტიკაა, მდიდარ კლუბებში მოხვედრილი კალათბურთელები ნაკრებს თუ არა, ბავშვთა სკოლებსა და ყოფილ კლუბებს ეხმარებიან

— **გავალთ მომდევნო ეტაპზე?**

— ღმერთმა ნუ ქნას, ვერ გავიდეთ.

**ირაკლი პერძაია**

# ათენი თავდაცვას ასწრებს, თავდახურვას ვერა





# მითხარი, ვინ არის შენი მეზობელი და გეტყვი, რა გელის შენ

ATHENS 2004

ათენის ოლიმპიური თამაშების საცურაო აუზი რომ გადაუხურავი რჩება და მისი ბედი მგონი იქაურ მთავარ ოლიმპიურ სტადიონსაც ელის, ეს ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის.

იგივე დაადასტურა და უარესებიც გაიხსენა გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა, რომელმაც ამ დღეებში მოინახულა ათენი.

ცხადია, საოლიმპიადოდ ჩვენი და მთელი მსოფლიოს ამ გამალებული სამზადისისას ზენაიშვილი ათენში იქაური ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად არ ყოფილა. იგი მონაწილეობდა ათენში გამართული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის გენერალური ასამბლეის მუშაობაში, რის შესახებაც მან გუშინდელი აღმასკომის მონაწილეებს ანგარიში ჩააბარა.

„იმ ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წევრები — გვიამბობს ემზარ ზენაიშვილი — პრემიერ-მინისტრს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა ასე მიმართა, მე და ჩემს კოლეგებს, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა ხელმძღვანელებს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლებს ყველას გვეეჭვება, რომ საოლიმპიადოდ სპორტული ბაზები მზად გექნებათო. ჟაკ როგის შეშფოთების ამგვარი პირდაპირი გამოხატვა მრავლისმთქმელია. ათენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ბევრი არარაფერი დარჩა, მაგრამ მთელი ათენი ისევ გადათხრილი და ხარაჩოებშია. ახლა ოლიმპიადის საორაგანიზაციო კომიტეტი იმას ნატრულობს, თავად შეჯიბრებები იქნებ როგორმე კარგად ჩავატაროთ და ტერორისტულ აქტებს გადავურჩეთო, თორემ ოლიმპიურ სერვისზე საუბარი აღარც არის, მათ შორის სატრანსპორტო მომსახურეობაზეც...“

ოლიმპიადის უსაფრთხოებას რაც შეეხება, ამ მხრივ ათენის თამაშებისთვის მართლაც რომ უპრეცედენტო ზომებს მიმართავენ, ამის თაობაზეც არაერთხელ ვიუწყებოდით. ამასვე მეტყველებს გუშინდელ სხდომებზე საქართველოში ანტიტერორისტული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის ალექსანდრე თვალიაშვილის მონაწილეობაც, რისი პრეცედენტიც არც ერთი წინა ოლიმპიადებისას არ ყოფილა.

თვალიაშვილი მონაწილეობდა ამას წინათ ათენში გამართულ ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებასათნ დაკავშირებულ საერთაშორისო სემინარში, რის შესახებაც მან გუშინდელი აღმასკომის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა. მან თქვა, რომ ათენურ სემინარში თხუთმეტამდე ქვეყნის ექსპერტები მონაწილეობდნენ. შეგვახსენა, რომ ათენის თამაშების უსაფრთხოებისთვის 650 მილიონი ევრო იხარჯება, რაც სამჯერ მეტია წინა ოლიმპიადების შესაბამის დაფინანსებასთან შედარებით.

თვალიაშვილმა გაიხსენა ბოლო წლებში მომრავლებული საშინელი ტერაქტები, მათ შორის ამერიკისაც, რომლის მერეც მსგავსი აქტების დინამიკა გაიზარდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯერჯერობით ტერორიზმი იმარჯვებსო. ამიტომაც, როგორც თვალიაშვილმა თქვა, ათენური სემინარის მიზანი ტერორიზმის წინააღმდეგ კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება იყო.

ერთი სიტყვით, ამ ბოლო დროს ოლიმპიურ ლექსიკონში მრავლად მკვიდრდება სამხედრო ტერმინოლოგია, რაც შეუძლებელია არ გვაშფოთებდეს.

ყოველივე ამის ფონზე საინტერესოა, თუ ათენის ოლიმპიურ სოფელში ვის მეზობლად იცხოვრებს საქართველოს დელეგაცია. აღმოჩნდა, რომ ესენი იქნებიან გერმანიის, რუსეთისა და თავად ბერძნების დელეგაციები.

აღმასკომის სხდომაზე ისაუბრეს საოლიმპიადოდ ჩვენი სპორტსმენების სამზადისზეც. ითქვა, რომ ოლიმპიური ფონდის წყალობით ჩვენს სპორტსმენებს ამ საქმეში არანაირი პრობლემა არ აქვთ და მათ გეგმის არცერთი ნაწილი არ ჩავარდნიათ.

ზენაიშვილმა ისიც გვაცნობა, რომ ათენში ბატუტისტთა წინაოლიმპიური კვირეულის პროგრამით გამართულ შეჯიბრებას დაესწარი, რომელშიც მონაწილეობდა ყველა მომავალი ოლიმპიელი, მათ შორის ჩვენი რუსუდან ხოფერიაც, რომელმაც საბოლოო ჯამში მეხუთე ადგილი დაიკავაო. ზენაიშვილი დაინტერესებულა ხოფერიას საოლიმპიადო შანსებით და სპეციალისტებს გასაუბრებია. მათი ვარაუდით, ხოფერიას მესამე ადგილისთვის ბრძოლა შეუძლია და არც ის გაგვიკვირდება, ოქრო რომ მოიგოსო.

სხდომაზე ისიც ითქვა, რომ ჩვენი დელეგაცია, წინა თამაშებისგან განსხვავებით ფრიად წარმომადგენლობითი იქნება იმ მხრივაც, რომ ათენში გვეყოლება თითო მსაჯი ჭიდაობაში, ტანვარჯიშში და თანამედროვე ხუთჭიდში. ფარიკაობაში როგორც დელეგატი გვეყოლება მორის სახვაძე, ხოლო ჭიდაობაში — გოჩა ძასოხოვი, რომელიც ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობაშია.

ეტყობა, ათენში, სხვა ქვეყანათა მსგავსად, როგორც საპატიო სტუმარი, რამდენიმე დღით იქნება საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რაც ჩვენი სპორტსმენების ერთ-ერთი სტიმული იქნება.

**ავთანდილ ტყვიშელი**

*თუ თანამედროვე ოლიმპიური თამაშების მედლებს გადავხედავთ, 1936 წლის ბერლინის ასპარეზობამდე მეტ-ნაკლებად დომხალია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა 1904 წელს სენტ ლუისში გამართული ოლიმპიადა*

# დააბრუნეთ მედლები!

## ოლიმპიური ჯილდოები ჩამოტარებით

ბერლინის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული, თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა და პრიზიორთა ვინაობაც სამარჩიელო აღარ არის, მაგრამ ბოლო დროს ისევ ჩნდება გაურკვევლობები.

საქმე ისაა, რომ საპატიო კვარცხლბეკზე ასულ სპორტსმენს რამდენიმე დღის, თვისა და წლების მერეც მოპოვებულ ჯილდოებს უკან აბრუნებინებენ და სხვებს გადასცემენ. ამიტომაც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ოლიმპიური თამაშების პრიზიორთა ნუსხაში სხვადასხვაგვარი მაჩვენებლებია. აი, ახლაც, ორი წლის მერე სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების შედეგები ოთხ სახეობაში შეიცვალა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ხმათა უმრავლესობით მიიღო საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის რეკომენდაციები და გააუქმა რუსი მოთხილამურე მრბოლელების ლარისა ლაზუტინასა და ოლგა დანილოვას, აგრეთვე ესპანელი იოჰან მიულეგის შედეგები.

შეგახსენებთ, რომ ამ მრბოლელებს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს მას მერე, რაც მათ დოპინგანალიზებში დარბოპოეტინის კვალი აღმოაჩინეს.

სოკ-ის აღმასკომის გადაწყვეტილების შემდეგ იმ სახეობებში, რომლებშიც მონაწილეობენ და მედლებიც მოიპოვეს ლაზუტინამ, დანილოვამ და მიულეგმა, პრიზიორთა ვინაობა ახლა ასეთია:

**ქალები**

**გამოდევნებით რბოლა (5+5კმ)**

1. სკოტი (კანადა), 2. ნოიმანოვა (ჩეხეთი), 3. ბაუერი (გერმანია)

**კლასიკური სტილი. 10კმ**

1. სკარი (ნორვეგია), 2. ჩეპალოვა (რუსეთი), 3. ბელმონდო (იტალია)

**ვაჟები**

**გამოდევნებით რბოლა (10+10კმ)**

1-2. ესტილი ფაოლსგორდი (ორივე ნორვეგია). 3. ელოფსონი (შვედეთი)

**რბოლა თავისუფალი სტილით 30კმ**

1. ჰოფმანი, 2. ბოტვინოვი (ორივე ავსტრია), 3. სკელდალი (ნორვეგია)



სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის პრიზიორი ლარისა ლაზუტინა უმედლოდ დარჩა და სოკ-ს ორწლიან დისკვალიფიკაციას გამორჩა

# სქესის შეცვლა დანაშაული არააო

# მთავარია აღიარება



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამ უქმეებზე საუქმეოდ ვერ მოიცლის — სოკ-ი განიხილავს წლეულს გასამართ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე სქესგამოცვლილ სპორტსმენთა დაშვება-არდაშვების საკითხს. კონკრეტულად, ოლიმპიური დიდმოხელენი იმსჯელებენ იმაზე, ღირს თუ არა ასპარეზობაში მონაწილეობის წე-სების შეცვლა საიმისოდ, რომ ტრანსექსუალები დაუშვან სარბი-ელზე.

პროფესორ კენ ფიტჩის აზრით, რომელიც სოკ-ის კომისიაში ავსტრალიის წარმომადგენელია, სპორტსმენი სარბიელზე უნდა დაუშვან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ოპერაცია გადაიტანა, სქესი შეიცვალა და სულ ცოტა ორი წელიწადს იცხოვრა „ახალი სახით“.

ამგვარად, ფიტჩის აზრით, სპრინტერ-ტრანსექსუალმა, რომელიც წინათ კაცი იყო, მერე კი რამე-რამეები გამოიცვალა, ორ წელიწადს უნდა იაროს კაბით, საკუთარი თავი დიაცად გამოაცხადოს და მხოლოდ ამის მერე გამოვიდეს ოლიმპიური თამაშების ქალთა გარბენში.

# სამართალს ყრილობის მერე ვიპოვით



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ალექსანდრე მეტრეველს და თეიმურაზ კაკულიას ჩოგბურთის ფედერაციის ლეგიტიმურობაში ეჭვი ეპარებათ

*ზეგ შერატონ მეტეხი პალასში საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ყრილობა შედგება. დღის წესრიგში შეტანილი საკითხებიდან ერთ-ერთი უმთავრესი ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია. საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ქალ ჩოგბურთელს და მოქმედ პრეზიდენტ ლეილა მესხს კონკურენტად ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი მამაკაცი, დღეს კი რუსული ტელეკომპანია ენტევე-სპორტის კორესპონდენტი ალექსანდრე მეტრეველი ეყოლება*

პრეზიდენტობის მსურველთა განაცხადების მიღების ვადა ორი კვირის წინ ამოიწურა. მესხი თავისმა საჩოგბურთო აკადემიამ წარადგინა, მეტრეველი კი საჩოგბურთო კლუბმა „დინამომ".

18 თებერვალს შეკრებილმა პრეზიდიუმმა ხმის უფლება 85 დელეგატს მისცა. როგორც გუშინ ფედერაციაში გვითხრეს, ეს ხმები საჩოგბურთო კლუბებზე, ვეტერან ჩოგბურთელებზე, მსაჯებზე, ოლიმპიურ კომიტეტზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტზე, ფიზკულტურის აკადემიაზე, ქალაქის სპორტის სამსახურსა და საქართველოს ნაკრების წევრებზე განაწილდა.

პარასკევს, დღის მეორე ნახევარში ალბათ დელეგატთა მიერ გაკეთებული არჩევანი შეჯამებულიც იქნება, მაგრამ მეტრეველის შტაბი პრეზიდიუმის მიერ გაცემულ კვოტებს აქედანვე უკანონოდ მიიჩნევს. ასე რომ, შესაძლოა ქართულ საჩოგბურთო სამყაროში მთავარი ბრძოლა არჩევნების დასრულების შემდეგ გახურდეს.

მეტრეველისა და მისი კანდიდატურის მხარდამჭერ თეიმურაზ კაკულიას სიტყვებით წინასაარჩევნო კამპანიაზე ან პროგრამაზე მუშაობას აზრი არა აქვს. არჩევნების ბედი უკვე გადაწყვეტილია. მის გაუქმებას და სამართლის პოვნას კი აუცილებლად შეეცდებიან.

## ალექსანდრე მეტრეველი:
# ეს არჩევნები აბსურდული იქნება

— თბილისში გუშინ ჩამოვედი და არჩევნებისთვის მზადებაც დავიწყე, მაგრამ არანაირმა საბუთმა, რომლის საფუძველზეც უნდა მემსჯელა და სამუშაო გეგმა შემედგინა, ჩემამდე არ მოაღწია. მივედი დასკვნამდე, რომ ეს არჩევნები აბსურდულია. მასზე დელეგატთა ხმები არარსებულმა პრეზიდიუმმა გაანაწილა. იმ პრეზიდიუმმა, რომელშიც მე და თემურ კაკულია ხან ვართ და ხან არა და რომლის წევრთა რაოდენობაც ყოველდღიურად იცვლება. ფედერაციის ყველა ნაბიჯი ბურუსითაა მოცული. უამრავი კითხვა იბადება, თუმც პასუხის გამცემი არავინაა. გამწვავება არ გვინდოდა და ჯობდა შიგნითვე მოგვეგვარებინა ყველა პრობლემა, მაგრამ არაფერი გამოდის. სასიკეთო ძვრებს ვერ ვხედავთ. არადა ცოტა უკეთესი მიდგომით საქმის კეთება შეიძლება. საამისოდ გამართული სისტემა უნდა შეიქმნას. დღეს კი მასთან ოდნავ მიახლოებულიც არაფერი ჩანს. შედეგიც სახეზეა, ყველა ქვეყანა, ვისზე ერთი თავით მაღლაც ვიდექით, ახლა ჩვენზე წინაა. მსოფლიოს კლასიფიკაციებში ერთი ქართველიც ვერ ხვდება და ასე თუ გაგრძელდა, ვერც მოხვდება. შედარებით უკეთ ის ჩოგბურთელები ასპარეზობენ, საქართველოდან წლების წინ რომ წავიდნენ.

## თეიმურაზ კაკულია:
# მესხი ფედერაციას ერთპიროვნულად მართავს

— დღევანდელმა ჩოგბურთის ფედერაციამ თავიდანვე არალეგიტიმურად დაიწყო მუშაობა. 1999 წლის 26 თებერვალს ჩოგბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე მაშინდელმა პრეზიდენტმა მერაბ ადეიშვილმა გადადგომის განცხადება გააკეთა. ყრილობამ ფედერაციის წესდების რეგისტრაცია და ორ თვეში მორიგი სხდომის ჩატარება ლეილა მესხს დაავალა. პრეზიდენტი, პრეზიდიუმი და სარევიზიო კომისიაც არ დამტკიცებულა. სულ რაღაც ერთ კვირაში ხუთმა კერძო პირმა დაფუძნებული ფედერაცია თავიდან გადააფუძნა. მას სათავეში მესხი ჩაუდგა და ყრილობის მიერ დაუმტკიცებელი პრეზიდიუმით ერთპიროვნულად მართავს.

...1999-2003 წლებში ფედერაციაში არცერთხელ არ განხილულა ფინანსური შემოსავლები და ხარჯები. რამდენიმე ფორმალური განხილვა მესხის აკადემიის თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარდა და ის სხდომები ეგრეთ წოდებულმა პრეზიდენტმა პრეზიდიუმის სხდომებად მონათლა. ცუდია, ფინანსებზე საუბარი რომ მიწევს, მაგრამ ამის გარეშე აზრის გამოთქმა შეუძლებელია.

...საინტერესოა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის დახმარებების განაწილების მექანიზმი. ფედერაციას ბოლო ოთხ წელიწადში გრანტების სახით 72 ათასი დოლარი ჩაერიცხა და დიდი ოდენობით სპორტული ინვენტარიც გადაეცა. ამ პერიოდში არც ერთ საჩოგბურთო კლუბს დახმარების სახით ერთი თეთრიც არ მიუღია. თავად კლუბებს კი ფედერაციაში საწევროები და კომერციული ტურნირებიდან შემოსავლები ყოველთვის შეჰქონდათ. ჩემთვის გაუგებარია, ვინ დააწესა ეს ხარკი და ვინ განსაზღვრა მისი ოდენობა. ვინ დააწესა ბავშვების ყოველწლიური ლიცენზირებისთვის 30-50 დოლარი.

...ლეილა მესხის მიერ დანერგილმა მართვის სისტემამ მონოპოლიურ მდგომარეობაში ჩააყენა მისსავე კერძო მფლობელობაში არსებული ჩოგბურთის აკადემია. ფაქტიურად ყველა საერთაშორისო ტურნირი იქ ტარდება და შესაბამისად, ყველა ფინანსური შემოსავალი მესხის აკადემიის საკეთილდღეოდ მიემართება. ასეთი პოლიტიკა დანარჩენი კლუბების მატერიალურ ფინანსურ ბაზას აშკარად აკნინებს. რაღა სპორტის მასობრიობაზეა საუბარი?

...ქართველი ჩოგბურთელები არსებულ პირობებში ვარჯიშით დიდი ტურნირების სათამაშოდ მზად არ არიან. იმ მშობლების იმედად ყოფნაც არ გვარგებს, თამაშის სასწავლებლად შვილის საზღვარგარეთ წაყვანას რომ გადაწყვეტენ. ამან რომც გაამართლოს, ფედერაციის აქტივში მაინც არ ჩაიწერება. უკვე 10-12 წელია რაც ბათუმში კარგი ბაზა აშენდა, 75 ათას დოლარიანი ტურნირიც ტარდება, მაგრამ სამწუხაროდ, არც საქართველოს ნაკრებში და არც შიდა პირველობაზე ბავშვები იმ დონეზე არ მომზადებულან, მსგავს ტურნირებში რომ მონაწილეობა მიიღონ.

...ყრილობის მეტეხში ჩატარება ზედმეტი ფუფუნებაა. არ ჯობდა, ნაკლები ათასები გადაეხადათ და არც ისე მდიდრული დარბაზი შეერჩიათ? პომპეზურობას საქმის კეთება ჯობია. მოახლოებულ ყრილობას და არჩევნებს ეჭვის თვალით ვუყურებთ. მისი შედეგი აუცილებლად გაუქმდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**NASDAQ-100 OPEN**

კი ბისკეინი (მაიამი). ჰარდი. საპრიზო 3 450 000 $



# სერენა პირველ ქალად ბრუნდება

**ინდიან უელსის** მომჩოგნავმა გოგო-ბიჭებმა ორიოდ დღე დაისვენეს და ისევ შემოაცალეს შალითები ჩოგნებს. დიდმჩოგნენმა წყნარი ოკეანის ნაპირა მზიური კალიფორნიიდან ატლანტიკის არანაკლებ მზიურ პლაჟებიან ფლორიდაში გადაინაცვლეს, სადაც გუშინ კაი საპრიზოიანი „ნასდაკ ოუფენი" დაიწყო.

ინდიან უელსში ნახევარფინალამდე გაჭრილმა ჩვენებურმა ირაკლი ლაბაძემ რეიტინგსიაში უზარმაზარი ნახტომი კი გააკეთა, თუმც განთესილებში ვერ მოხვდა. ირაკლის მაინც გაუმართლა კენჭისყრაში. პირველ მეტოქედ საკმაოდ ცნობილი, თუმც მაინც საშუალო ფენების მკვიდრი ამერიკელი ქსავიე მალისი შეხვდა.

ოკეანგაღმიდან კი მთავარი ამბები ძირითადად ქალებზე მოდის, სანამ ნამდვილი ჩოგნაობა გაჩაღდება. ქალთა საჩოგნეთის დაჭრილი დევი სერენა უილიამსი რვათვიანი იძულებითი უქმობის შემდეგ სწორედ ამ ბოლოლა ტურნირზე უბრუნდება, და სხვათა შორის პირველ ნომრადაც იქნება განთესილი. ეს მარტივი ასახსნელია. მართალია ტრავმამ სერენა რეიტინგსიაში მეექვსე საფეხურამდე ჩამოაქვეითა, თუმც ამ ტურნირს ერთბაშად ოთხი მთავარი ქალმჩოგნე გამოტოვებს და სერენას პირველნომრობის მიზეზიც ეს გახლავთ.

აი ეს დარჩეული ოთხეულიც: ჟუსტინ ენენ-არდენი, კიმ კლაისტერსი, ამელი მორესმო, ლინდსი დევენპორტი. ამათგან ვის ტრავმა აქვს, ვინ კი ბისკეინში კორტზე ხრუკვას იქვე პლაჟებზე გარუჯვა არჩია.

# სელეში კორტზე მორბის
## ოღონდ ჯერ სიარულს სწავლობს



**ათი თვის** განმავლობაში ტრავმის გამო უთამაშებელი მონიკა სელეში დიდ კორტს შესაძლოა წლევანდელ როლანგაროსობაზე მოუბრუნდეს. ამის შესახებ თავად 30 წლის იუგოამერიკელმა გადაკვრით ამ დღეებში, მარტინა ნავრატილოვასთან 4:6, 6:7-ით წაგებული საღლაბუცო მატჩის შემდეგ განაცხადა.

თუმცა ცხრაგზის სლემტიტულოსანმა სელეშმა იქვე იმის შესახებაც უხვად ისაუბრა, რომ, სანამ დიდ კორტზე კაცურად ჩოგნაობას გაიხსენებდეს, ტრავმა ბოლომდე უნდა გამოიშუშოს. ჯერ ბავშვივით სიარული უნდა ვისწავლოო, ამბობს მონიკა, რომელსაც ფეხის ტრავმის გამო სწორედაც რომ შარშანდელი როლანგაროსობის შემდეგ აღარ უთამაშია.

სხვაფრივ — მასა და ნავრატილოვას 1993 წლის თებერვლის მერე აღარ ეთამაშათ. იმავე წლის აპრილში — ეგებ ეგ ამბავი არც თქვენც დაგვიწყებიათ — მონიკა შტეფი გრაფის გადარეულმა ქომაგმა, გიუნტერ პარხემ ჰამბურგულ მეოთხედფინალში ზურგში დაჭრა. მას შემდეგ საწყალმა გოგონამ ორი წლის განმავლობაში იუქმა და მერე ეგრეც ვეღარასოდეს შეძლო, თავის საზეო, საყველადროისჩემპიონო ფორმა აღედგინა.

სულ სელეშს 57 ტიტული მოურეწავს და ამქრის მეთაურ საფეხურზე ჯამში 178 კვირა გაუტარებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამბერის ტურნირი

მონტე-კარლო. 20 მარტი–1 აპრილი

# ახლა ატყდება ვაი-ვიში

**ინდოელი** დიდოსტატი ვიშვანათან ანანდი თანდათან პოულობს თავის ჭკვიან თავს. წინა ტურებში უაზროდ მიფლანგული ქულების შემდეგ იგი ჩვეული რიტმით ათამაშდა და მეოთხე ტურის შემდეგ 5,5 ქულით ლიდერებს კიდეც უნგრელ პეტერ ლეკოსა და რუს ვლადიმერ კრამნიკთან ერთად.

ინდუსმა ქულანახევარი გამოიმუშავა ჰოლანდიელ აუტსაიდერ ლუკ ვანველთან. ყაიმით დასრულებული დაფაზე დაცზედავი პარტიის შემდეგ ანანდი სწრაფში უკეთ ათამაშდა და ტურნირზე მეოთხე გამარჯვება გამოჭედა.

ინდოელმა დაუხედავი პარტია მეფის გამბიტით დაიწყო და ცენტრში სათარეშოდ მსუბუქი ფიგურების კოჰორტა აფრინა. ჰოლანდიელმა ინდუსის მსგავსად მოწინავე რაზმი მსუბუქ ფიგურებს ანდო და ბრძოლაც გაჩაღდა. ცენტრში დაწყებული პატარ-პატარა შეტაკებები თანდათან მთელ დაფას მოედო და საქმეში უკვე მძიმე ფიგურებიც ჩაერივნენ. თავიდან ვან ველმა იძალა და ოფიცერ-დედოფლით თეთრებს მიუხტა, თუმც ინდუსმა იქ ისეთი ძალა დაახვედრა, რომ ჰოლანდიელი იძულებული გახდა, უკან გამობუნძულებულიყო. შეტევა ახლა ინდუსმა დაიწყო და უფრო გონივრულადაც, რაც კი მძიმე ფიგურა ჰყავდა ყველა შავი მეფისკენ მიმართა და თავისი გაიტანა — 36-ე სვლაზე მეტოქეს შამათიც ჩაუსვა.

პირველ ადგილს ნახევარი ქულით ჩამორჩა რუსი ევგენი ბარეევი. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ბულგარელ ვესლინ ტოპალოვთან ქულანახევარი დაკარგა და პირველ ადგილს ნახევარი ქულით დაშორდა. კარგი დღე არც დანარჩენ რუსებს ვლადიმირ კრამნიკსა და ალექსანდ მოროზევიჩს ჰქონდათ თანამემამულეებმა მშვიდობიანი ყაიმებით არჩიეს დაშორება და ქულებიც დაკარგეს.

**ლუკა გეგეჭკორი**

## ევროპის ქალთა ჩემპიონატი

დრეზდენი. 20 მარტი–4 აპრილი

# ძაგნიძემ კოშკები ააგო

**III ტური**

**ანა მუჟიჩუკი (უკრაინა) — ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) 0,5:0,5, მაია ლომინეიშვილი (საქართველო) — ევგენია ჩასოვნიკოვა (რუსეთი) 1:0, ანა-კრისტინა კალოტესკუ (რუმინეთი) — ნინო ხურციძე (საქართველო) 0,5:0,5, მარა ჯელიკა (ხორვატია) — ნანა ძაგნიძე (საქართველო) 0:1**

*მხოლოდ ქართველთა შედეგები*

ქალთა ევროპის ჩემპიონატის ცხრილს მესამე ტურის შემდეგ სამი მოგებით ჰოლანდიელი ზაოგინ პენგი ჩაუდგა სათავეში. ჰოლანდიელის მსგავსად ქულადაუკარგავი კიდევ ექვსი მოჭადრაკეა, თუმც დამატებითი მაჩვენებლებით ისინი თითო საფეხურით ქვემოთ არიან ჩამწკრივებულნი. მათ შორისაა ჩვენებური მაია ლომინეიშვილიც. იგი მესამე პოზიციაზე იმყოფება და მოწინავეთა შორის ადგილი რუს ჩასოვნიკოვას ძლევით შეინარჩუნა.

ჩრდილოელმა მეტოქემ ლომინეიშვილთან პარტია აგრესიულად დაიწყო, მეორე სვლაზევე პაიკი მოუკლა და მსუბუქი ფიგურებით შეუტია. მაია მომხდურს მედგრად დაუხვდა, მანევრირების საშუალება არ მისცა და პაიკიც ააცალა. ჩასოვნიკოვა ფიგურის დაკარგვას არ შეუშინდა და შეტევები კვლავ განაგრძო, თუმც სისწრაფეში შეცდა და ეტლითაც დაზარალდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად ევგენიამ გაცვლები დაიწყო და ზარალი ცოტა აინაზღაურა, მაგრამ ფიგურები ცხვრის ფარასავით მიმოეფანტა და 50-ე სვლაზე ფარხმალი დაყარა.

მოიგო წინა ტურში დამარცხებულმა ძაგნიძემ და მდგომარეობა შედარებით გაიუმჯობესა. ჯელიკასთან დებიუტი ქართველმა სიცილიური დაცვით არჩია. საწყისი 18-18 სვლა მეტოქეებმა დაფაზე ფიგურების მობილიზებას მოანდომებს და იერიშები კარგად მომზადებულებმა დაიწყეს. 21-ე სვლაზე ხორვატის კამიკაძე ლაზიერი ქართველის სამფლობელოში შეიჭრა და შავი დედოფალი თან გაიყოლა. უდედოფლოდ დარჩენილებმა შეტევები გააგრძელეს და უპირატესობას თანდათან ნანა დაეუფლა. ქართველმა პაიკის გაყვანა დაიწყო და მცველებად გვერდით ეტლები დაუყენა. ჯელიკამ ერთი-ორი იერიში კი მიიტანა ორ კოშკშუა გამაგრებულ პაიკზე, თუმც არაფერი გამოუვიდა და დამარცხება აღიარა.

არახამია-გრანტი უკრაინელ მუჟიჩუკთან ნათამაშები ყაიმის შემდეგ ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩა და მეათე პოზიციაზე იმყოფება. მეოთხე ჩვენებურმა ხურციძემ კი პირველ ტურში მოგების შემდეგ ზედიზედ მეორე ყაიმი გააფორმა და მოწინავეებს კიდევ უფრო დაშორდა.

**ლუკა გეგეჭკორი**



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ბროდო მაინც გაიბადრა

23 მარტი

**ფლორიდა 3:4 ნიუ ჯერსი**
*2:1 0:1 1:1 0:1*
0:1 ჯიონტა (8), 1:1 ოდელეინი (15), 2:1 ნედოროსტი (17), 2:2 კოზლოვი (28), 3:2 ოდელეინი (45), 3:3 სტივენსონი (52), 3:4 ნიდერმაიერი (64)

პატრიკ რუასა და დომინიკ ჰაშეკის არყოფნაში ლიგის მეკარეებში მთავარ ავტორიტეტად ქცეულ მარტინ ბროდოს წლეულს მიღწევების სეზონი დაუდგა. ეშმაკთა „გოლკიპერმა“ ნჰლ-ში მე-400 მოგება მოიპოვა, თანაც ეს 31 წლისამ მოახერხა. ამ ასაკში ერთ მეკარესაც არ გადაულახავს ეს საპატიო ზღვარი. თან ამ მიღწევისთვის მხოლოდ 735 თამაში დასჭირდა, რაც ასევე ხელშეუხებელი რეკორდია. ისე, ბროდო დიდხანს ელოდა ამ საზეიმო წუთებს, რადგან მანამდე „ეშმაკებმა“ 3 თამაში ვერ მოიგეს და ეს მატჩიც თითქოს არასასურველად წარიმართა, მაგრამ ოვერტაიმში სკოტ ნიდერმაიერმა მაინც დალაშქრა მეტოქის კარი და ბროდოს გაჭიანურებულ მოლოდინს ბოლო მოუღო.

**აილენდერსი 3:0 ვაშინგტონი**
*1:0 2:0 0:0*
1:0 ჰამლიკი (16), 2:0 ოკოინი (34), 3:0 იაშინი (35)

**კაროლინა 2:4 ფილადელფია**
*1:1 1:2 0:1*
0:1 შარპი (13), 1:1 ჰედიკანი (14), 1:2 რაგნარსონი (28), 2:2 ადამსი (29), 2:3 განიე (39), 2:4 რადივოევიჩი (42)

**ნეშვილი 1:4 ანაჰაიმი**
*1:1 0:2 0:1*
0:1 პრონგერი (3), 1:1 უოკერი (7), 1:2 ოზოლინში (32), 1:3 ხიკორა (40), 1:4 ფიოდოროვი (59)

დასავლეთში მიმდინარე უმკაცრესმა საპლეიოფო ბრძოლამ ეგებ პირველ რიგში „ნეშვილი“ შეიწიროს. თასის შარშანდელი ფინალისტი წლეულს ერთობ უსუსურად გამოიყურება. ამჯერადაც „ანაჰაიმთან“ მის მარცხს გამართლება არ მოეძებნება.

**კოლორადო 2:2 ჩიკაგო**
0:0 2:0 0:2 0:0
1:0 ბარნაბი (22), 2:0 კონოვალჩუკი (32), 2:1 ვანდერმეერი (45), 2:2 არნასონი (59)

17 მატჩის გამოტოვების შემდეგ დაბრუნებულ პეტერ ფორსბერგის საგოლე პასმა და ჯო საკიკის კარიერაში 1400-ე ქულამაც ვერ უშველა „კოლორადოს“ — აუტსაიდერი „ჩიკაგო“ ვერ დაამარცხა. თუმც სამშაბათს დენვერელებს უხასიათობა არ ეტყობოდათ, რადგან ამას წინათ მძიმედ დაშავებული სტივ მურის გამოჯანმრთელების პროცესი მოსალოდნელზე სწრაფად მიმდინარეობს. იგი უკვე გაწერეს საავადმყოფოდან.

**ტორონტო 2:7 ტამპა**
*1:4 1:1 0:2*
0:1 მოდინი (3), 1:1 მოგილნი (6), 1:2 ლუკოვიჩი (7), 1:3 ფედოტენკო (14), 1:4 რ. ჩარდსი (20), 2:4 ანტროპოვი (22), 2:5 ანდრეიჩუკი (39), 2:6 ლეკავალიე (57), 2:7 ციბაკი (58)

**რეინჯერსი 2:5 პიტსბურგი**
*0:2 1:3 1:0*
0:1 კრაფტი (8), 0:2 ფატა (10), 1:2 იაგრი (21), 1:3 პირიეტა (22), 1:4 პირიეტა (27), 1:5 კოლცოვი (35), 2:5 ბოკი (54)

**ბოსტონი 4:2 ოტავა**
*1:0 1:0 2:2*
1:0 გრინი (5), 2:0 სამსონოვი (28), 2:1 ჰავლეტი (44), 3:1 მიურეი (47), 3:2 სპეცა (48), 4:2 ბოინტონი (54)

**სან ხოსე 5:2 დეტროიტი**
*2:1 1:1 2:0*
1:0 მენენი (8), 2:0 ჩიჩუ (10), 2:1 დაციუკი (19), 3:1 ჩიჩუ (28), 3:2 ფიშერი (33), 4:2 კოროლიუკი (47), 5:2 დამფუსი (56)



## Euroleague ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 24 მარტი

**D ჯგუფი**

ოლიმპიაკოსი 69:93 ცსკა

ტაუ 95:76 ციბონა

**E ჯგუფი**

ეფესი 78:61 პო ორტეზი

**F ჯგუფი**

ბარსელონა 85:86 სიენა



გუშინ გიორგი ცინცაძეს ევროლიგაში დებიუტი ჰქონდა, „ოლიმპიაკოსთან“ 10 წუთი ითამაშა და ორი მოხსნა გააკეთა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

23 მარტი

**ნიუ ორლეანი 82:81 დეტროიტი**
ნიუ ორლეანი: ვესლი (19), მაშბერნი (17)
დეტროიტი: ჰამილტონი (17), ბ. ვოლესი (13 ქულა, 15 მოხსნა, 5 დაფარება)

**საკრამენტო 101:112 მილუოკი**
საკრამენტო: ბიბი (27), სტოიაკოვიჩი (21), ვებერი (17 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი)
მილუოკი: რედი (26), ვან ჰორნი (22)

**კლივლენდი 86:103 ფინიქსი**
კლივლენდი: ჯეიმსი (25)
ფინიქსი: ჯონსონი (31), სტუდემაიერი (21)

**მინესოტა 86:81 სან ანტონიო**
მინესოტა: გარნეტი (27), სპრიუელი (20)
სან ანტონიო: დანკანი (26)

**მემფისი 95:86 ტორონტო**
მემფისი: გასოლი (29)
ტორონტო: კარტერი (30)

**ჩიკაგო 81:84 ნიუ ჯერსი**
ჩიკაგო: კროუფორდი (34)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (20)

**იუტა 85:77 ვაშინგტონი**
იუტა: კირილენკო (19)
ვაშინგტონი: ჰიუზი (23)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 42 | 28 | 60,0 |
| მაიამი | 33 | 37 | 47,1 |
| ნიუ იორკი | 33 | 38 | 46,5 |
| ბოსტონი | 31 | 40 | 43,7 |
| ფილადელფია | 29 | 42 | 40,8 |
| ვაშინგტონი | 22 | 48 | 31,4 |
| ორლანდო | 19 | 53 | 26,4 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 51 | 19 | 72,9 |
| დეტროიტი | 46 | 26 | 63,9 |
| ნიუ ორლეანი | 37 | 34 | 52,1 |
| მილუოკი | 35 | 35 | 50,0 |
| კლივლენდი | 31 | 39 | 44,3 |
| ტორონტო | 30 | 40 | 42,9 |
| ატლანტა | 22 | 49 | 31,0 |
| ჩიკაგო | 20 | 51 | 28,2 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| მინესოტა | 49 | 22 | 69,0 |
| სან ანტონიო | 46 | 25 | 64,8 |
| მემფისი | 44 | 26 | 62,9 |
| დალასი | 44 | 26 | 62,9 |
| ჰიუსტონი | 40 | 29 | 58,0 |
| იუტა | 37 | 34 | 52,1 |
| დენვერი | 37 | 35 | 51,4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| საკრამენტო | 51 | 20 | 71,8 |
| ლეიკერსი | 47 | 23 | 67,1 |
| პორტლენდი | 35 | 35 | 50,0 |
| სიეტლი | 32 | 38 | 45,7 |
| გოლდენ სტეიტი | 29 | 40 | 42,0 |
| კლიპერსი | 27 | 44 | 38,0 |
| ფინიქსი | 24 | 47 | 33,8 |

*მთავრული შრიფტით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდები*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოცნა დორტმუნდში


REUTERS დორტმუნდიდან

თითქოს უკვე გაზაფხულდაო, მაგრამ სწორედ ახლაა ფიგურული სრიალის მსოფლიო ჩემპიონატის დრო. დორტმუნდში განსაკუთრებული გრაციით კატი ვინკლერისა და სენ ლასის გერმანული წყვილი ცეკვავს.

# ფეხი ყინულში

სეზონი დამთავრდა მორაგბე მეტ როჯერსისთვის. ახალი სამხრეთ უელსის „ვარათაზის" მოთამაშე წლეულს სანაკრებო თამაშებსაც გამოტოვებს და ზე-თორმეტის ნარჩენ ბრძოლებსაც. კეიპტაუნში, კიბეზე ჩამომჯდარი და ფეხჩაყინული მოთამაშე 4 თვით გამოაკლდა თამაშს.


REUTERS კეიპტაუნიდან

# დოლი დუბაიში


REUTERS დუბაიდან

აი, ეს არის ბრწყინვალე სინი, დუბაიში რომ დაუვანებიათ. 27 მარტიდან აქ დოღის მსოფლიო თასი გახურდება. წილისყრა უკვე ჩატარებულია, საპრიზო ფონდი კი სამყაროში უდიდესია, 6 მილიონი დოლარი.

# პრეტენდენტი

„ენბისის" ტელეარხმა იწყო გადაღება ნამდვილ საკრივო ისტორიებზე აგებული სერიალისა და საკრივო დიადებსაც მოუყარა თავი. ლოს ანჯელესის საკრივო კლუბში ხედავთ კარგად ნაოფლარ დიდ ჩემპიონს, შუგარ რეი ლეონარდსა და ძველ „როკის", სილვესტერ სტალონეს. სერიალს „პრეტენდენტი" ერქმევა.




REUTERS ვაშინგტონიდან

# ბეჭდები სტუდენტებს

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საარჩევნო კამპანია დაიწყო და ძველი ჩვეულებაც მეტის მონდომებით გაიხსენა — ამერიკული სპორტების სტუდენტ ჩემპიონებს თეთრი სახლის სამხრეთის მოლზე ჩამოურიგა საჩემპიონო ჯილდოები. სამხრეთკალიფორნიელ მობურთალთა კვორტერბეკმა მეტ ლეინარდმა თავისი საჩემპიონო ბეჭედი ღირსეულად მიიღო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge